საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №6

ქ. თბილისი

19.07.2016

სხდომას ესწრებოდნენ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შმდგომში საბჭო) წევრები:

ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სხდომის თავმჯდომარე;
თუთა ნარმანია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის დაგეგმვისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ლევან გორდეზიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
რევაზ სოლომონია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი;
ნანა შათაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლები:
ლაშა მარგიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო გაგელიძე - შესაბამისობის შეფასებისა და მონიტორინგის სამმართველოს კოორდინატორი;
თამთა კობახიძე - განვითარების სამმართველოს უფროსი;
ანა ლელაძე - საერთაშორისო აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:
ხათუნა მხეიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
ნანა მაჭარაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
ნანა ერგემლიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროგრამის ხელმძღვანელი;
ჟანეტა ვარძელაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენელი;
ავთანდილ კირთაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი;
მანანა ვასაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების პროგრამის ხელმძღვანელი;
ელდარ გუგავა - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანული სოფლის მეურნეობის პროგრამის ხელმძღვანელი, ხარისხის უფროსი;
დიმიტრი ნატროშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის პროგრამის ხელმძღვანელი;
ირინა გოცირიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიისა და სამედიცინო ინფორმატიკის პროგრამის ხელმძღვანელი;
ზ. ბაიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

ნ.ნ.

ქ. კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი;
ნიკოლოზ აბზიანიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ზურა ჩაიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნევლყოფის სამსახურის უფროსი.
არჩილ ჭელიძე - შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის რექტორი;
ხათუნა გაბიცინაშვილი - შპს ქართულ-ევროპული სასწავლებლის პრორექტორი;
დალი სეხნიაშვილი - შპს ქართულ-ევროპული სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ხელმძღვანელი;
მარიამ აბელიშვილი - შპს ქართულ-ევროპული სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის ხელმძღვანელი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში ექსპერტები):

გოდერძი ბუჩაშვილი;
ნინო ჩიქოვანი;
ეკატერინე გიგაშვილი;
მურად გარუჩავა;
ქეთევან კინწურაშვილი;
ბეჟან ჯავახია;
ფიქრია ვარდოსანიძე;
რამაზ ქურდაძე;
ნიკოლოზ ახალკაცი;
მანანა ხაჩიძე;
გიორგი ღაღანიძე;
ვასილ კიკუტაძე;
ია ნაცვლიშვილი;
ნინო ქიმერიძე;
ეკატერინე ბაკარაძე;
ეკა ლეკაშვილი;
კახაბერ ჭეიშვილი;
რომეო გალდავა;
კახაბერ თავზარაშვილი;
ავთანდილ თავხელიძე;
გიორგი გვალია;
მაია გონაშვილი;
კონსტანტინე თოფურია.

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:30 საათზე, თავმჯდომარის არ ყოფნის გამო სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათელა სახოკიამ.

სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ,,საგანმანათლებლო

5.10

დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 26-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

ლაშა მარგიშვილმა განმარტა, რომ 15 ივლისს ცენტრში შემოსული იყო შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის წერილი, რომლის თანახმადაც დაწესებულება მობილობის მიზნებიდან გამომდინარე ითხოვდა მათი საკითხების განხილვის დაჩქარებას, ვინაიდან 22 ივლისის შემდგომ შეუძლებელი იქნებოდა მობილობის პორტალზე აკრედიტებული პროგრამების თაობაზე ინფორმაციის ატვირთვა. შესაბამისად, ლაშა მარგიშვილმა დააყენა შუამდგომლობა რომ 2016 წლის 19 ივლისის დღის წესრიგს დამატებოდა შემდეგი ორი საკითხი: შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა; შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

ლაშა მარგიშვილმა ასევე დააყენა შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით და მოითხოვა 2016 წლის 19 ივლისის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეათე საკითხი, კერძოდ, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილული ყოფილიყო პირველ საკითხად, ვინაიდან ექსპერტებს ჰქონდათ გადაუდებელი საქმე. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგთან დაკავშირებული ცვლილების საკითხი და კენჭისყრის შედეგად წევრებს გააცნო სხდომის ახალი დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანული სოფლის მეურნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიის და სამედიცინო ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენების, ლიტერატურისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

6.108

14. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორ პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალვრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა სხდომის დღის წესრიგი.

6-108

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: თანამედროვე კავკასიოლოგია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კავკასიური კვლევების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა რამაზ ქურდაძემ და ნიკოლოზ ახალკაცმა.

- პროგრამის სახელი გახლდათ ,,თანამედროვე კავკასიოლოგია", ტრადიციულად კავკასიოლოგია შეისწავლიდა იბერიულ-კავკასიურ ენებს, კავკასიის სხვა ენებს, კავკასიის ხალხთა ისტორიას, კულტურას, არქეოლოგიას, ეთნოლოგიას, ლიტერატურას, ფოლკლორს და სხვ. აღნიშნული პროგრამის შინაარსი კი ფაქტობრივად განსხვავდებოდა კავკასიოლოგიის ტრადიციული გაგებისაგან, კერძოდ, პროგრამა უმთავრესად ბიზნესურთიერთობათა, რეგიონალური და პოლიტიკური საკითხების სწავლებას ისახავდა მიზნად კავკასიაში და ცდილობდა გლობალურ ასპექტში მოეაზრებინა კავკასიის რეგიონის როლი ამ კუთხით. ამიტომ აუცილებელი იყო, დაზუსტებულიყო პროგრამის სათაური და ყოფილიყო უფრო ადეკვატური პროგრამის შინაარსობრივ მხარესთან. ამგვარი დაზუსტების შემდეგ, სწორედ სწავლების შინაარსის გათვალისწინებით უნდა დაკონკრეტებულიყო სასწავლო კურსების მიზნები, რაც წარმოდგენილი სახით იყო ზოგადი და ფაქტობრივად, არ იძლეოდა არანაირ ინფორმაციას იმის შესახებ ტრადიციული კავკასიოლოგიის დარგების სწავლებაზე იყო საუბარი, თუ სხვა მიმართულებაზე იყო აღებული აქცენტი.

- პროგრამაზე დაშვების პირობებში აუცილებელი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო შესაბამისი უცხო ენის ფლობის დონე - B2, რაც ასევე წინაპირობად უნდა მითითებოდა საგნებს: ,, ბიზნესკომუნიკაცია (შესაბამისი უცხო ენით)" და ,,დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა (შესაბამისი უცხო ენით)."

- პროგრამაში არ იყო გამიჯნული სავალდებულო და არჩევითი საგნები, რაც ფაქტობრივად ყველა საგანს ძირითადის სტატუსს ანიჭებდა. აღნიშნული ზღუდავდა მაგისტრანტთა აკადემიურ თავისუფლებას. მოცემულ შემთხვევაში სტუდენტს არ ექნება შესაძლებლობა განსაზღვროს და დაგეგმოს თავისი პროფილი და სასწავლო პროცესი, რაც ეწინააღმდეგება აკრედიტაციის ერთ-ერთ სტანდარტს. შესაბამისად, პროგრამაში უნდა ყოფილიყო არჩევითი საგნები.

5.106

- პროგრამაში დასახვეწი იყო სწავლების მეთოდები, კერძოდ, ელექტრონული სწავლების მეთოდი არასრულად იყო წარმოდგენილი პროგრამაში, თანაც აღნიშნული მეთოდით სარგებლობა ნაკლებად იყო დემონსტრირებული სილაბუსებში.

- საგანი ,,ბიზნესკომუნიკაცია (შესაბამისი უცხო ენით)" გულისხმობდა გარკვეულ სპეციფიკურ თემატიკას ბიზნესურთიერთობათა ნაირსახეობების გათვალისწინებით. აღნიშნულ პროგრამაში ბიზნესკომუნიკაცია ისწავლებოდა სხვადასხვა უცხო ენაზე (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული). ამ მხრივ აუცილებელი იყო აღნიშნული საგნის სილაბუსებს ჰქონოდათ საერთო თემატიკა ბიზნესკომუნიკაციის თეორიული ასპექტებიდან გამომდინარე. აღნიშნული სილაბუსების სალექციო კურსები კი უმთავრესად ამა თუ იმ უცხო ენის სასწავლო თემებს (,,ტოპიკებს") გვთავაზობდნენ, მართალია მათ შორის იყო ბიზნესის ამსახველი თემატიკა მაგრამ ეს არ იყო საკმარისი ბიზნესკომუნიკაციის, როგორც დარგის თეორიულ საკითხთა შესასწავლად. ექსპერტების მიერ ასეთივე მოსაზრება იქნა გამოთქმული საგნის - ,,დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკის (შესაბამისი უცხო ენით)" მიმართ, რადგანაც აღნიშნული საგნის ძირითადი სპეციფიკა დარგობრივი ტექსტის თარგმანის თეორია და პრაქტიკა იყო, სწორედ ამ საკითხთა მთლიანობა უნდა ყოფილიყო განხილული სხვადასხვა ენების მონაცემებისა და სპეციფიკის გათვალისწინებით.

- სილაბუსთა აბსოლუტური უმრავლესობა ერთი პრინციპის მიხედვით იყო შედგენილი. სასურველი იყო სპეციფიკიდან გამომდინარე სხვაობა ყოფილიყო შეფასების სისტემაში. გაუმართლებელი იყო თეორიული საგნებისა და პრაქტიკული საგნის მაგ: ,,სამაგისტრო პრაქტიკა" ერთი და იმავე სისტემით შეფასება. ერთგვაროვნად უმართებულო იყო ყოველკვირეული შუალედური შეფასებები, რაც ახსნილი მასალის ცოდნის გამოვლენის შესაძლებლობის შემოწმებას ეფუძნებოდა. ამისათვის სავსებით საკმარისი იყო შეფასების სისტემაში გამოყოფილიყო გრაფა დასწრება-აქტივობა, რაც 10 ქულით შეფასდებოდა. ამასთანავე ბიზნესკომუნიკაცია, რაც პროგრამის ღერძს წარმოადგენდა მოითხოვდა სათანადო საპრეზენტაციო უნარების ფლობას, რაც პროგრამის გავლისას უნდა ყოფილიყო გამომუშავებული. სასურველი იყო პრეზენტაციის ჩართვა შეფასებაში, რაც 20 ქულით განისაზღვრებოდა.

- რაც შეეხებოდა ლიტერატურას: საჭირო იყო ძირითადი და დამხმარე ლიტერატურის მითითება ცალკეული ლექციების გასწვრივ. რადგან ლიტერატურა არ იყო მითითებული ცალკეულ კონკრეტულ ლექციასთან, ძნელი იყო იმის გარკვევა თუ რამდენად ფარავდა მითითებული ლიტერატურა ცალკეული სალექციო კურსის თემატიკას;

- ზოგიერთ შემთხვევაში ძირითადი ლიტერატურა არსებობდა მხოლოდ ერთი დასახელებით, სალექციო კურსით და ელექტრონული ვერსიით, ხოლო ზოგან ორივე ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა თითო-თითო დასახელებით იყო წარმოდგენილი რუსულად, როდესაც სამაგისტრო პროგრამის სწავლების ენა იყო ქართული ხოლო რუსული ინგლისურთან, გერმანულთან და ფრანგულთან ერთად უცხო ენად იყო მიჩნეული. საჭირო იყო პროგრამის სილაბუსებში ძირითადი ლიტერატურის გამდიდრება ქართულენოვანი გამოცემების თვალსაზრისით;

- მხოლოდ საინტერესო მასალის ე.წ. ,,ლინკის" მითითება არ იყო საკმარისი, თუნდაც დამხმარე ლიტერატურაში, სასურველი იყო საკითხის, თემატიკის დასახელება და შემდეგ შესაბამისი ელექტრონული მისამართი. ლინკის მითითებას ჰქონდა თავისი წესი, კონკრეტული საკითხის მითითებას აუცილებლად უნდა ჰქონოდა აღნიშნული მასალის ინტერნეტიდან ამოღების თარიღი, რადგან საინტერესო მასალები მუდმივად იცვლებოდა და ახლდებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ ნათელა სახოკიამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ზოგიერთი შენიშვნა იყო არსებითი ხასიათის. ნათელა სახოკიას მოსაზრებით პროგრამაში გაწერილი შედეგები და მიზნები არ ემთხვეოდა პროგრამის დასახელებასა და შინაარს, კერძოდ მისთვის გაუგებარი იყო თუ რატომ იყო კავკასიოლოგიის პროგრამის მიზნებში გაწერილი ბიზნესის შემცველი საკითხები.

6.16

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამას არ ჰქონდა ორიენტაცია ბიზნესზე, ხელმძღვანელისათვის მისაღები იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთქმული რეკომენდაციების უმეტესობა. კავკასიოლოგია, როგორც ცნობილია ჰქონდა ხანგრძლივი ისტორია, მისი კერა მოდიოდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, დაწესებულება მჭიდროდ თანამშრომლობდა აღნიშნული უნივერსიტეტის კადრებთან, გადიოდა კონსულტაციებს პროგრამის შემუშავების პროცესში. აღსანიშნავი გახლდათ, ის რომ პროგრამის შექმნის მიზანი გამომდინარეობდა სწორედ კავკასილოგიის მიმართ საერთაშორისო კუთხით გაჩენილი ვაკუუმიდან და რეგიონში არსებული რთული გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან. პროგრამა ახალი იყო და პასუხობდა თანამედროვე მოთხოვნებს. პროგრამაში ჩართული კადრები იყვნენ კვალიფიციურები, ხოლო მომზადებულ კადრებს პროგრამის გავლის შემდგომ ექნებოდათ შესაბამისი ცოდნა კავკასიის ეთნოტიპების, ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის, კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა თუ რა როლი ეკუთვნოდა ბიზნეს კომუნიკაციას და დარგობრივ თარგმანს პროგრამაში, კერძოდ რა კომპეტენციების გამომუშავებაზე იყო აღნიშნული საგნები მიმართული.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული საგნები სტუდენტს დაეხმარებოდა სწორი კომუნიკაციის წარმართვაში, ხოლო დარგობრივი თარგმანი უზრუნველყოფდა დარგთან დაკავშირებულ სწორ კომუნიკაციას სპეციფიკური ტერმინოლოგიის არსებობის თვალსაზრისით.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ ბიზნეს კომუნიკაცია და დარგობრივი თარგმანი გათვალისწინებული იყო ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ბოლო პერიოდში წარმოდგენილ ყველა პროგრამაში. აღნიშნული საგნები მისი აზრით წარმოადგენდნენ გამჭოლ საგნებს. მან ასევე განაცხადა, რომ წარმომადგენელს არ გაუცია პასუხი უშუალოდ წარმოდგენილ რეკომენდაციებზე და შენიშვნებზე. თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი არსებითი შენიშვნა, რომელიც ექსპერტებმა დააფიქსირეს, ეხებოდა შეფასების სისტემას. კერძოდ, დაწესებულების თითქმის ყველა პროგრამაში მითითებული იყო, რომ პრაქტიკა და თეორია ფასდებოდა ერთნაირად და მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფის განმეორებითი რეკომენდაციებისა აღნიშნულთან მიმართებით არასდროს არ ხდებოდა ამ ხარვეზის გამოსწორება და პროგრამები ინარჩუნებდნენ პირვანდელ სახეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ხათუნა მხეიძემ განაცხადა, რომ რექტორის მიერ გამოცემული იქნა ბრძანება, რომლის საფუძველზეც დაგეგმილი იყო აღნიშნული საკითხების გამოსწორება. არჩეული იქნა აკადემიური საბჭო და უახლოეს მომავალში, თარიღიც იყო უკვე შეთანხმებული. შესაბამისად, აღნიშნული საკითხების გამოსწორება.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ როგორც ექსპერტმა აღნიშნა სათაური არ მოდიოდა თანხვედრაში პროგრამის შინაარსთან და საგანთა ჩამონათვალი არ შეესაბამებოდა პროგრამის შინაარსს. მას აინტერესებდა, თუ ფიქრობდა დაწესებულება ამ მიმართულებით პროგრამაში ცვლილებების განხორციელებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ მოსაზრებას საგანთა ჩამონათვალთან დაკავშირებით არ ეთანხმებოდა. მისი აზრით, პროგრამაში ჩადებული საგნები როგორიც იყო: კავკასიის ისტორია, კავკასიის გეოგრაფია, კავკასიაში გავრცელებული რელიგიები, კავკასიაში არსებული კონფლიქტები და მათი მოგვარების გზები და კიდევ სხვა საგნები პირდაპირ მოიცავდნენ უშუალოდ კავკასილოგიის საკითხებს. პროგრამაში არსებობდა მხოლოდ რამოდენიმე საგანი, რომელიც ზოგად ცოდნაზე იყო ორიენტირებული. ერთადერთი აღნიშნული ეტაპისათვის, რაც ვერ მოხერხდა პროგრამაში ყოფილიყო გათვალისწინებული, იყო კავკასიაში გავრცელებული ენების შესწავლის უზრუნველყოფა. პროგრამის შემუშავებამდე დაწესებულებამ გაიარა არაერთი კონსულტაცია დარგის ცნობილ სპეციალისტებთან და სწორედ მოთხოვნის არსებობიდან გამომდინარე შეიქმნა აღნიშნული შინაარსის პროგრამა არსებული სახელწოდებით.

ნ.ნ

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრების მოსაზრებით, დასკვნაში მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. როგორც ზეპირი მოსმენიდან გაირკვა აღნიშნული შენიშვნები არ იყო გამოსწორებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამედროვე კავკასიოლოგიის სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

6.106

2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: დაწყებითი განათლება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები და შენიშვნები საბჭოს წევრებს წარუდგინეს აკრედიტაციის ექსპერტებმა გოდერძი ბუჩაშვილმა, ეკატერინე გიგაშვილმა და ნინო ჩიქოვანმა.

- დასაზუსტებელი იყო, პროგრამის დასრულების შემდეგ რომელი კლასის, საგნის თუ საგანთა ჯგუფის მასწავლებლის მომზადებაზე იყო ორიენტირებული დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამა, დაწყებითი საფეხურის საგნის I-VI კლასის თუ I-IV საგანთა ჯგუფის;
- შეფასებას ექვემდებარებოდა პედაგოგიური პრაქტიკის მსვლელობისას სტუდენტი/პრაქტიკანტის მიერ ჩატარებული გაკვეთილები, ამიტომ შესამუშავებელი იყო ჩატარებული გაკვეთილების შეფასების სისტემა;
- პედაგოგიურ პრაქტიკაში შემავალი პრაქტიკის კვლევის ნაწილი, რომელიც სემინარების სახით იყო სასწავლო კურსის სილაბუსში წარმოდგენილი და რეალურად არ ჰქონდა დათმობილი შესაბამისი სასემინარო საათები, თეორიული სასწავლო კურსის სტატუსით გასათვალისწინებელი იყო პროგრამაში რათა რეალური სარგებელი მიეღო სტუდენტს პრაქტიკის კვლევის განხორციელების ეტაპზე;
- სტუდენტის შეფასებისათვის განკუთვნილი დრო შუალედური შეფასებებისათვის გათვალისწინებული იყო თითო-თითო საათი, რაც წერითი დავალებების, პრეზენტაციის შეფასებისათვის იყო ცოტა, სასუველი იყო მისი გაზრდა.
- პედაგოგიური პრაქტიკის ფორმატში სტუდენტს სავალდებულოდ მოეთხოვებოდა გაკვეთილის დაგეგმვა და ჩატარება ინკლუზიურ კლასში. მის მიერ ჩატარებული გაკვეთილის შეფასების მიზნით გასაწერი იყო ინკლუზიურ კლასში გაკვეთილის ჩატარების ინსტრუმენტები;
- უცხო ენის (ინგლისური, რუსული, გერმანული) სასწავლო კურსებისათვის განსასაზღვრი იყო სტუდენტის ცოდნის დონე სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობებთან შესაბამისად;
- სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები მოსაყვანი იყო შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან, შესაბამისად, პროგრამაში მოცემული შეფასების მეთოდები ვერ უზრუნველყოფდა სწავლის შედეგების სრულყოფილ მიღწევას;

ნ.ნ.

- განსასაზღვრი იყო საკონსულტაციო დრო სტუდენტისათვის და ეს ინფორმაცია უნდა განთავსებულიყო სტუდენტისათვის ხელმისაწვდომ ადგილას;

- ადამიანური რესურსი გახლდათ პროგამის განხორციელებისა და მდგრადობის ინდიკატორი, ადამიანური რესურსის უშუალო ძალისხმევით ხდებოდა პროგრამითა და სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად პროგრამას უნდა ჰყოლოდა აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნებოდა აკადემიური თანამდებობა დაკავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

- გადახედვას საჭიროებდა პროგრამის შინაარსი და საჭირო იყო ასევე განსაზღვრულიყო სპეციალობის არჩევით და სავალდებულო საგნებს შორის პრიორიტეტები პროგრამის სპეციფიკიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე;

- შეფასების კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო გამჭვირვალე, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტის ინფორმირება მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნანა მაჭარაშვილმა განაცხადა, რომ პროექტზე მუშაობის დაწყებამდე, რომელიც აერთიანებდა სამ საფეხურს შეისწავლეს და გაანალიზეს ევროპის ტექნიკური პროფილის სასწავლებლებში განხორციელებული განათლების მეცნიერებების პროგრამები. შესწავლილი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ 90-იანი წლებიდან ტექნიკურ სასწავლებლებში ხდებოდა ჰუმანიტარული ცოდნის აქტუალიზირება. წარმატებით ხორციელდებოდა დარგობრივი სპეციალისტებისათვის განათლების კუთხით სწავლების განხორციელება. მაგალითი გახლდათ ბერლინის ტექნიკური უნივერსიტეტი, დრეზდენის ტექნიკური უნივერსიტეტი და კიდევ მრავალი სხვა. აღნიშნულმა კვლევამ მისცა საფუძველი ტექნიკურ უნივერსიტეტს განეხორციელებინა განათლების მეცნიერებების მიმართულებები. ტექნიკურ უნივერსიტეტსა და ბრანდერბურგის უნივერსიტეტს შორის გაფორმებულ იქნა 2016 წლის 7 ივლისს მემორანდუმი, რის საფუძველზეც მოხდებოდა მაგისტრატურის სტუდენტების მომზადება და მათთვის ორმაგი ხარისხის მინიჭება.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს, გათვალისწინებულ იქნა თითქმის ყველა რეკოემნდაცია და ცვლილებები ასახულ იქნა პროგრამასა და სილაბუსებში. კერძოდ, დაზუსტებული იქნა პროგრამის მიზანი, გაკეთებულ იქნა ჩანაწერი, სადაც მიეთითა, რომ დაწყებითი სკოლის მასწავლებელი შეძლებდა ესწავლებინა ქართული ენა და ბუნებისმეტყველება 1-6 კლასებში, ხოლო ერთ-ერთი საგანი 1-4 კლასებში. პრაქტიკის კუთხით ჩადებულ იქნა შეფასების სისტემა, ხოლო პედაგოგიური პრაქტიკის სპეციალური კურსი გამოყოფილ იქნა ცალკე კურსად. სტუდენტის შეფასებისათვის განსაზღვრული დრო დაზუსტებულ იქნა, წერით დავალებას დაეთმო 2 საათი ხოლო პრეზენტაციას 3 საათი. პრაქტიკის სილაბუსს დაემატა ინკლუზიურ კლასში გაკვეთილის ჩატარების სისტემა, მე-60 სკოლასთან გაფორმებულ იქნა ხელშეკრულება და სტუდენტი გაივლიდა პრაქტიკას გაკვეთილის ჩატარების სახით იმ კლასში, სადაც სკოლას ეყოლებოდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. განსაზღვრულ იქნა უცხოური სასწავლო კურსებისათვის სტუდენტის ცოდნის დონე, ამოღებულ იქნა შუალედური დონის სილაბუსები. საკონსულტაციო საათებად განისაზღვრა 5 საათი. დრო, დღეები და საათები სასწავლო განრიგთან ერთად განთავსდებოდა შესაბამის დეპარტამენტში სასწავლო წლის დაწყებისთანავე. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, როდესაც იწყებოდა მუშაობა აკრედიტაციაზე, წინასწარ არ ხდებოდა კონკურსის გამოცხადება, ჰყავდათ 5 მოწვეული პერსონალი, დანარჩენი იყო ადგილობრივი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც დაწესებულება ჯერ ცდილობდა აკრედიტაციის მოპოვებას და მხოლოდ შემდგომ იზრუნებდა აკადემიური პერსონალის აყვანაზე.

6-106

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ჰყავდა კადრები და დამატებულ იქნა კიდევ 5 მოწვეული კადრი. მან ასევე დაამატა რომ, როდესაც არ იყო შექმნილი სტრუქტურა და პროგამა გადიოდა აკრედიტაციას წინასწარ ვერ მოხდებოდა კონკურსის გამოცხადება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ამაწლის 27 ივლისს მოხდებოდა ახალი ფაკულტეტის შექმნა, დაიშალა ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი, იქმნებოდა სამი ახალი ფაკულტეტი. განათლების მიმართულება მოიზარებოდა სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტზე და მხოლოდ შემდეგ გამოცხადდებოდა კონკურსი.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალი თუ ბაკალავრიატისათვის არ იყო შესაბამისი, ეჭვის ქვეშ დგებოდა მაგისტრატურის და დოქტორანტურის პერსონალის საკითხებიც.

საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ თხოვნით მიმართა ექსპერტს თავიდან წაეკითხა ბოლო შენიშვნა აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებით. ექსპერტმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ადამიანური რესურსი გახლდათ პროგრამის განხორციელების ინდიკატორი, შესაბამისად პროგრამას უნდა ჰყოლოდა აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნებოდა თანამდებობა დაკავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე განათლების მიმართულებით არ ჰყავდა არჩეული არცერთი აკადემიური პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი პირების სტატუსი იყო - მოწვეული პერსონალი, შესაბამისად, მათ უნივერსიტეტში არ ეკავათ აკადემიური თანამდებობა. მაგალითად, ნანა მაჭარაშვილი პროგრამაში მოხსენიებული იყო როგორც მოწვეული პროფესორი. აღნიშნულიდან გამომდინარე წარმოიშვა პროგრამის მდგრადობის საკითხი, ვინაიდან განათლები მიმართულებით დარგობრივი კომპეტენციების გამომუშავებისთვის პროგრამას არ ჰყავდა აკადემიური პერსონალი.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მსგავსი შემთხვევა, რომ პროგრამაზე აკადემიური პერსონალი ჯერ არ ყოფილიყო დაკომპლექტებული და პროგრამას მოეთხოვა წინასწარ აკრედიტაცია საბჭოს აქამდე არ ჰქონია.

ექსპერტმა დაამატა, რომ არსებობდა სამი რეგულირებადი პროფესია სამართალი, მედიცინა და განათლების მეცნიერებები, რომელთა განხორციელება წარმოუდგენელი იყო აკრედიტაციის გარეშე. ვინაიდან ექსპერტები ამოწმებდნენ პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობას, ამიტომ გაკეთდა ადამიანურ რესურსზე შესაბამისი აქცენტი. დაწესებულებას ნამდვილად ჰყავდა აკადემიური პერსონალი, მაგრამ არა განათლების მიმართულებით.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, დასკვნაში მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის, განსაკუთრების ის შენიშვნა, რომელიც ეხებოდა განათლების მიმართულებით აკადემიური პერსონალის არ ყოლას. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

6.10

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: განათლების კვლევები და ადმინისტრირება
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მეცნიერებების მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა გოდერძი ბუჩაშვილმა, ეკატერინე გიგაშვილმა და ნინო ჩიქოვანმა.

- საჭირო იყო გადახედილიყო პროგრამის შინაარსი და ხელმეორედ განსაზღვრულიყო სპეციალობის არჩევით და სავალდებულო საგნებს შორის პრიორიტეტები პროგრამის სპეციფიკიდან და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე;
- სასურველი იქნებოდა განსაზღვრულიყო საკონსულტაციო დრო სტუდენტისათვის და განთავსებულიყო ინფორმაცია სტუდენტისათვის ხელმისაწვდომ ადგილას;
- ადამიანური რესურსი იყო პროგრამის განხორციელებისა და მდგრადობის ინდიკატორი, ადამიანური რესურსის უშუალო ძალისხმევით ხდებოდა პროგრამითა და სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა, შესაბამისად პროგრამას უნდა ჰყოლოდა აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნებოდა აკადემიური თანამდებობა დაკავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. შესაბამისად, შენიშვნა იყო წინა საკითხში მოცემული შენიშვნის იდენტური, კერძოდ, სამაგისტრო პროგრამას განათლების მიმართულებით არ ჰყავდა არჩეული აკადემიური პერსონალი.
- შეფასების კრიტერიუმები უნდა ყოფილიყო უფრო მეტად გამჭვირვალე, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სტუდენტის ინფორმირებულობა მიღწეული შედეგების, ნაკლოვანებებისა და გაუმჯობესების გზების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აკადემიური წერა, როგორც საბჭოსთვისაც იყო ცნობილი გახლდათ მნიშვნელოვანი, რომ ყოფილიყო სავალდებულო საგნების ნუსხაში ვინაიდან სტუდენტს უვითარებდა წერის მრავალფუნქციურ უნარ-ჩვევებს, რაც აისახებოდა სამაგისტრო და სადოქტორო ნაშრომების შემუშავებაში. უცხო ენებთან დაკავშირებით, მაგისტრატურაში ხორციელდებოდა უცხოური ენების შესწავლა და მოცემული სასწავლო კურსებით სტუდენტი გამოიმუშავებდა, როგორც საკომუნიკაციო უნარებს ასევე უვითარებდა მას დარგობრივი ტარგმანის ტექნოლოგიასაც.

6-1

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა საუბარი იყო ისევ იმ დარგობრივი თარგმანის სასწავლო კურსზე, რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროგრამაში იყო ასახული და საინტერესო იყო ვინ ასწავლიდა აღნიშნულ საგანს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დარგობრივ თარგმანს ასწავლიდა ენის სპეციალისტი კონკრეტული დარგის გამოცდილების მიხედვით. როდესაც მაგისტრანტი ან დოქტორანტი მუშაობდა სამეცნიერო სტატიაზე მას ასევე აუცილებლად ახლდა პატარა ანოტაცია ნებისმიერ უცხო ენაზე, რაც გულისხმობდა, რომ სტუდენტს უვითარდებოდა აბსტრაქტის წერის კომპეტენცია, დარგის ტერმინოლოგიის ცოდნის უნარი და ა.შ.

აკრედიტაციის ექსპერტმა ნინო ჩიქოვანმა განაცხადა, რომ დარგობრივი თარგმანის საგანი შესაძლებელი იყო გადანაცვლებული ყოფილიყო არასავალდებულო საგნების ნუსხაში და წინ წამოწეულიყო რიგი საგნები, რომლებიც უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე. ანალოგიურად აკადემიური წერაც შესაძლებელი იყო შეეთავაზებინათ არჩევით საგნად, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში იგი ისწავლებოდა ბაკალავრიატის საფეხურზეც.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, არ წარმოადგენდა პრობლემას აკადემიური წერის სავალდებულო საგნად დატოვება, ვინაიდან იგი მნიშვნელოვანი იყო სტუდენტისათვის და იყო ალბათობა, რომ მას ეს საგანი არ ჰქონოდა გავლილი ბაკალავრიატში.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ განაცხადა, რომ წინა საკითხის მსგავსად, აქაც უმნიშვნელოვანესი იყო აკადემიური პერსონალის პრობლემა, რომელიც პრობლემას წარმოადგენდა ალბათ განათლების მიმართულების სამივე საფეხურის პროგრამებისთვის.

საბჭოს წევრი ლევან გორდეზიანი დაინტერესდა უცხოელი პარტნიორების ჩართვა თუ იგეგმებოდა პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ როგორც უკვე აღნიშნა დაიდო მემორანდუმი ბრანდერბურგის უნივერსიტეტთან, რომელიც მათ მაგისტრანტებს მიანიჭებდა ორმაგ ხარისხს. ისინი ელოდნენ აკრედიტაციას და გამოხატავდნენ მზაობას ერთობლივი ძალებით განეხორციელებინათ პროგრამა.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა, როგორი იყო ბრანდერბურგის უნივერსიტეტის პოზიცია, როდესაც პროგრამას განათლების მიმართულებით არ ჰყავდა აკადემიური პერსონალი, რაში გამოიხატებოდა მათი მზაობა. სავარაუდოდ, მათი მზაობა მდგომარეობდა იმაში, რომ მათ სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნიეს პროგრამის შემუშავება და შესაბამისად, ელოდნენ მის შემდგომ განვითარებას.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ ზოგადად არ მიაჩნდა მიზანშეწონილად ერთდროულად სამივე საფეხურის ერთი მიმართულების პროგრამის ერთდროულად სააკრედიატციოდ წარდგენა და ამოქმედება, ვინაიდან სასურველი იქნებოდა ჯერ განხორციელებულიყო პირველი საფეხურის პროგრამა, რომელსაც შედეგებისა და განხორციელების გამოცდილებიდან გამომდინარე, დაემატებოდა დანარჩენი ორი საფეხურის პროგრამა.

სხდომის თავმჯოდმარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის, განსაკუთრებით ის შენიშვნა, რომელიც ეხებოდა აკადემიურ პერსონალს. პროგრამას განათლების მიმართულებით უნდა ჰყოლოდა შესაბამისი ცოდნისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

6-16

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების კვლევებისა და ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: განათლების მეცნიერებები
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები და შენიშვნები საბჭოს წინაშე წარადგინეს ექსპერტებმა გოდერძი ბუჩაშვილმა, ეკატერინე გოგაშვილმა და ნინო ჩიქოვანმა.

- პროგრამაში სწავლების პირველივე წლიდან, სასწავლო კომპონენტის პარალელურად, გათვალისწინებული იყო კვლევითი კომპონენტიც, აქედან გამომდინარე სასურველი იყო სასწავლო კურსი ,,მეცნიერული კვლევის მეთოდები განათლებაში" პირველივე სემესტრიდან ესწავლა დოქტორანტს.
- უმჯობესი იქნებოდა, თუ პროგრამის სპეციკურსებში შემავალი თემატური სემინარების სწავლის მიზნებისა და შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოიკვეთებოდა შესაბამისი სილაბუსებით;
- საჭირო იყო პროგრამას დამატებოდა პროფესორის ასისტენტობის პრაქტიკული სასწავლო კურსი სავალდებულო არჩევითის სტატუსით;
- დოქტორანტებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კონსულტაცია პროფესორ-მასწავლებლებთან, ამიტომ საკონსულტაციო საათების შესახებ კონკრეტული ინფორმაცია საჭირო იყო მითითებული ყოფილიყო სასწავლო კურსების სილაბუსებში;
- ადამიანური რესურსი გახლდათ პროგამის განხორციელებისა და მდგრადობის ინდიკატორი, ადამიანური რესურსის უშუალო ძალისხმევით ხდებოდა პროგრამითა და სასწავლო კურსებით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად პროგრამას უნდა ჰყოლოდა აკადემიური პერსონალი, რომელსაც ექნებოდა აკადემიური თანამდებობა დაკავებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინა ორი საკითხის მსგავსად, სადოტქორო პროგრამაში განათლების მიმართულების აკადემიური პერსონალი არ იყო ჩართული.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა რეკომენდაცია ჰქონდათ გათვალისწინებული, განხორციელებული იყო ყველა ცვლილება რომელიც მითითებული იყო რეკომენდაციებში. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, აკადემიურ პერსონალთან დაკავშირებულ

6.156

შენიშვნას დაწესებულება არ იზიარებდა, ვინაიდან პროგრამა განხორციელდებოდა კვალიფიციური პერსონალის მიერ და ამ მიზნით, როგორც აღინიშნა დაწესებულება გეგმავდა აკადემიური კონკურსის გამოცხადებას.

სხდომის თავმჯდომარემ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაშიც, წინა საკითხების მსგავსად არსებით პრობლემას წარმოადგენდა განათლების მიმართულების აკადემიური პერსონალის არარსებობა. შესაბამისად, სადოქტორო პროგრამის შემთხვევაშიც, აღნიშნული შენიშვნა იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე.

6.106

5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სასტუმრო მომსახურება
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ეკა ლეკაშვილმა და კახაბერ ჭეიშვილმა.

- სასურველი იყო სპეციალობის არჩევით საგანს ,,სარესტორნე საქმიანობა და კვებითი მომსახურება" შეცვლოდა სტატუსი და გამხდარიყო სავალდებულო (ნაცვლად სასწავლო კურსისა ,,მეღვინეობა", რომელსაც ჰქონდა სპეციალობის სავალდებულო კურსის სტატუსი);
- სასურველი იყო საწარმოო პრაქტიკის კომპონენტზე დაშვების წინაპირობად მითითებული ყოფილიყო მხოლოდ ის დარგობრივი სავალდებულო სასწავლო კურსები, რომელთა სწავლის შედეგების მიღწევაც აუცილებელი იყო პრაქტიკის კომპონენტზე დაშვებისათვის. ამასთან, სასურველი იყო ძირითად სასწავლო კურსს ,,ფრონტოფისი/გლობალური დაჯავშნის სისტემები" წინაპირობად ,,ტურიზმის საფუძვლებთან" ერთად მითითებოდა ,,ინფორმაციული ტექნოლოგიები", ხოლო არჩევითი სასწავლო კომპონენტისათვის ,,საბაკალავრო ნაშრომი" განსაზღვრული ყოფილიყო წიანაპირობები შესაბამისი სასწავლო კურსების მითითებით (მაგ: ,,ტურიზმის ეკონომიკა და მართვა", ,,სასტუმროს სტატისტიკა" და ა.შ);
- ტურიზმის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული დარგის კურსდამთავრებულთათვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების გამომუშავება, რაც მათ მიერ გაწეული მომსახურების მაღალ ხარისხსს უზრუნველყოფდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო გამრავალფეროვნებულიყო შესაბამისი ფორმები და მეთოდები კვლევითი ან/და ზეპირი კომუნიკაციის კომპონენტების გამოყენებით;
- სასურველი იყო საბაკალავრო ნაშრომების თემატიკის შემუშავება, რათა საბაკალვრო ნაშრომის ხელმძღვანელს და სტუდენტებს ჰქონოდათ ჩამონათვალზე წინასწარი წვდომა;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისა და ინტერნაციონალიზაციის მიზნით, ტურიზმის დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, სასურველი იყო სასწავლო კურსების შემოთავაზება ფრანგულ, რუსულ და გერმანულ ენებზეც, რისი რესურსის მოძიებაც უნივერსიტეტს შეეძლო;

6.18

- სასურველი იყო სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურას დამატებოდა უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ელექტრონული სალექციო კურსები), აგრეთვე ელექტრონული რესურსები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელ ფაკულტეტზე იყო პროგრამა. აკრედიტაციის ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა შედიოდა ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტში. პროგრამა გახლდათ ახალი, ექსპერიმენტული ხასიათის და გაივლიდა გარკვეულ აპრობაციასაც ბაზარზე. აღნიშნული პროგრამის და ასევე სამაგისტრო პროგრამის შემუშავება განხორციელებულ იქნა უცხოელ კოლეგებთან თანამშრომლობის ტემპუსის პროექტის ფარგლებში. საქართველოში სასტუმროსაქმის მიმართულებით არ არსებობდა ანალოგიური პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სად დასაქმდებოდნენ კურსდამთავრებულები. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დასაქმების პერსპექტივა იქნებოდა საკმაოდ დიდი, ვინაიდან იქხსნებოდა უამრავი სასტურმო და ტურიზმის განვითარების კუთხით საკმაოდ მოთხოვნადი იქნებოდა აღნიშნული პროფესია. მომსახურების ხარისხის გაზრდის მიზნით, თავად სასტუმროს მეპატრონეებიც იზრუნებდნენ შესაბამისი კადრის გაზრდაზე. დაწესებულება აპირებდა სტუდენტების ორ ნაკადად მიღებას რაც საბოლოდ შეადგენდა 40-50 სტუდენტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ყველა რეკომენდაციას. შესაბამისად, ყველა მათგანი იყო გაზიარებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6. 15

6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირება
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ტურიზმის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარადგინეს ექსპერტებმა ეკა ლეკაშვილმა და კახაბერ ჭეიშვილმა.

- იქედან გამომდინარე, რომ ტურიზმი მიეკუთვნებოდა ინტერდისციპლინურ დარგებს, მისანიჭებელი კვალიფიკაცია განისაზღვრებოდა მიმართულებათშორისი დარგის მიხედვით, თუმცა პროგრამის სახელწოდება - სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირება - ბიზნესის ადმინისტრირებას შეესაბამებოდა. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დასახელების შესაბამისობა მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან კანონმდებლობით არ იყო განსაზღვრული, ექსპერტთა ჯგუფის თვალსაზრისით, სასურველი იყო სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება ,,სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირება" შეცვლილიყო და ყოფილიყო პროგრამის კვალიფიკაციის ადეკვატური;
- ტურიზმის ინტერდისციპლინური ბუნებიდან გამომდინარე, აღნიშნული დარგის კურსდამთავრებულთათვის არსებითად მნიშვნელოვანი იყო ეფექტიანი კომუნიკაციის უნარების გამომუშავება, რაც მათ მიერ გაწეული მომსახურების მაღალ ხარისხსს უზრუნველყოფდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველი იყო გამრავალფეროვნებულიყო შესაბამისი ფორმები და მეთოდები კვლევითი ან/და ზეპირი კომუნიკაციის კომპონენტების გამოყენებით;
- სასურველი იყო სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის შემუშავება, რათა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებს და სტუდენტებს ჰქონოდათ ჩამონათვალზე წინასწარი წვდომა;
- სასურველი იყო სტუდენტისათვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო სახელმძღვანელოების კიდევ უფრო ფართო არჩევანი, სილაბუსებში დამხმარე ლიტერატურას დამატებოდა უახლესი ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურა (სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, ელექტრონული სალექციო კურსები), აგრეთვე ელექტრონული რესურსები.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამაგისტრო საფეხურის კურსდამთავრებული მიიღებდა ორმაგ დიპლომს ჯირონას უნივერსიტეტთან თანამშრომობის საფუძველზე. პროგრამას გავლილი ჰქონდა ტემპუსის ექსპერტების მიერ განხორციელებული ექსპერტიზა,

6-106

შემოწმებულ იქნა კურსადმათვარებულთა სამაგისტრო ნაშრომები და გადაწყდა, რომ დიპლომი რომელსაც გასცემდა ასევე ჯირონას უნივერსიტეტი იქნებოდა აღიარებული საქართველოს კანონმდებლობით. აღნიშნული პროგრამა საინტერესო იყო მარკეტინგული თალსაზრისითაც ვინაიდან დაიგეგმებოდა გაცვლითი პროგრამებიც. ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გავლილი ჰქონდათ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები თავად ჯირონას უნივერსიტეტში რაც იძლეოდა მათი პროფესინალიზმის გარანტიას.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტების მიერ დაფიქსირებულ ყველა რეკომენდაციას. შესაბამისად, ყველა მათგანი იყო გაზიარებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასტუმრო მომსახურების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს სხდომაზე 16:30 საათზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 16:50 საათზე.

6. lof

7. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანული სოფლის მეურნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ორგანული სოფლის მეურნეობა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: აგრარულ მეცნიერებათა მაგისტრი ორგანულ სოფლის მეურნეობაში
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მურად გარუჩავამ და ქეთევან კინწურაშვილმა.

- სასურველი იყო გასწორებულიყო საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისობა არსებული კვალიფიკაციის ჩარჩოს მიხედვით;
- სასურველი იყო პროგრამაში უფრო ნათლად ყოფილიყო გამიჯნული ძირითადი და არჩევითი საგნები;
- სასურველი იყო სასწავლო კურსს ,,ბიოუსაფრთხოება და მცენარეთა დაცვა" დარქმეოდა მხოლოდ ,,ბიოუსაფრთხოება";
- მიზანშეწონილი იქნებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში მოცემული ყოფილიყო ინფორმაცია, თუნდაც ბადის სახით, დამხამრე პერსონალის (სტ.4.3) წვლილის შესახებ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფის საქმეში;
- აუცილებელი იყო დარგის მიხედვით ბიბლიოთეკის როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოური წიგნადი ფონდით შევსება და სხვადასხვა ლაბორატორიული ხელსაწყოების შეძენა;
- სასწავლო პროცესის ინტერნაციონალიზაციას სასურველი იქნებოდა მოეცვა უცხოელი სტუდენტების ,,ორგანული სოფლის მეურნეობა" პროგრამაზე სწავლისა და კვლევითი აქტივობების კომპონენტიც.

ექსპერტმა მურად გარუჩავამ განაცხადა რომ აკრედიტაციის ვიზიტის პროცესში აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით მოხდა ჩასწორება მისანიჭებელი კვალიფიკაციის რომელიც არ იყო სტანდარტთან შესაბამისობაში. პროგრამაში დაზუსტებულ იქნა კვირების რაოდენობა, ფაქტიურად გასწორებული იქნა ყველა რეკომენდაცია, რომელიც გააჩნდა ექპსერტთა ჯგუფს. მთლიანობაში პროგრამა წარმოადგენდა გუნდური მუშაობის ნაყოფს და ექსპერტი მიიჩნევდა, რომ აუცილებლად გავიდოდა შედეგებზე. პროგრამა ხორციელდებოდა ახლად გახსნილ აგრარულ ფაკულტეტზე. მატერიალური რესურსი აკმაყოფილებდა ყველა სტანდარტს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ყველა მითითებული უზუსტობა ჩასწორებულ იქნა და პროექტიც გადაეცათ ექსპერტებს, აკადემიურ საბჭოზე გატანილ იქნა მოდიფიცირება და წარმოდგენილ იქნა გასწორებული ვარიანტი. შესაბამისად, ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული ყველა რეკომენდაცია იყო გაზიარებული.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა ანალოგიური პროგრამა თუ ხორციელდებოდა სხვა უნივერსიტეტებშიც. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანალოგიური პროგრამა არ ხორციელდებოდა საქართველოში მოქმედ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის არც აგრარულ უნივერსიტეტში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამის მიზნიდან გამომდინარე ვის ამზადებდა აღნიშნული პროგრამა, მენეჯერებს, თუ აგრონომებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულს ორგანულ სოფლის მეურნეობაში უნდა შეეძლო ორგანული სოფლის მეურნეობის დარგის ჩამოყალიბება, წარმართვა, ხელმძღვანელობა, მენეჯერული უნარ-ჩვევების გამოვლენა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანული სოფლის მეურნეობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანული სოფლის მეურნეობის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-10

8. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: სოფლის მეურნეობის მექანიზაცია
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მურად გარუჩავამ და ქეთევან კინწურაშვილმა.

- პროგრამის აღწერილობით ნაწილში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო: ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაგისტრი:, მაშინ როცა თვითშეფასების კითხვარში მისანიჭებელ კვალიფიკაციად მითითებული იყო : ,,ინჟინერიის მაგისტრი სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სპეციალიზაციით". მიზანშეწონილი იწნბოდა აღნიშნული შეუსაბამობის გასწორება ისე, რომ მისანიჭებელ კვალიფიკაციად დარჩენილიყო ის რაც შეესაბამებოდა კავლიფიკაციათა ჩარჩოს ანუ ის კვალიფიკაცია, რომელიც მითითებული იყო სამაგსიტრო პროგრამის აღწერილობით ნაწილში: ,,სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მაგისტრი".
- პროგრამის სასწავლო გეგმის სტრუქტურა წარმოდგენილი იყო ისე, რომ სასწავლო კურსები ,,ბიზნესკომუნიკაცია" და ,,დარგობრივი ტექსტის თარგმნის თეორია და პრაქტიკა" ჩათვლილი იყო არჩევით საგნებად. სინამდვილეში აღნიშნული კურსები პროგრამისათვის იყო ძირითადი. ისინი არჩევითი იყო მხოლოდ ენობრივი თავლსაზრისით, რადგან სასწავლო კურსის შინაარსობრივი მხარე ნებისმიერი ენის შემთხვევაში იყო ერთი და იგივე. მიზანშეწონილი იყო ჩასწორებულიყო პროგრამის აღწერილობითი ნაწილის ტექსტი, რომელშიც მიეთითებოდა, რომ პროგრამაში არჩევითი კურსებისათვის გათვალისიწნებული იყო 5 კრედიტი და არა 15;
- პროგრამაში მკაფიოდ არ იყო გამოკვეთილი სასწავლო კვირეების რიგითობის მიხედვით სასწავლო პროცესის მიმდინარეობის სურათი. სასურველი იყო პროგრამის აღწერილობით ნაწილში უფრო დეტალურად გაწერილიყო სასწავლო კვირეების რიგითი ნომრის შესაბამის აქტივობა;
- სასწავლო კურსის სილაბუსის ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირების მეთოდები" სახელწოდება, თავისი შინაარსობრივი მხარის გათვალისწინებით, საჭიროებდა დაზუსტებას. მიზანშეწონილი იყო სასწავლო კურსის სახელწოდების ფორმულირება ყოფილიყო შემდეგი: ,,სასოფლო-სამეურნეო კულტურების წყალმოთხოვნილების პროგნოზირება და უზრუნველყოფა";

6-1ა6

- პროგრამაში ჩამოთვლილი იყო სწავლის მეთოდები, რომელთა ნაწილის გამოყენება არ იყო გათვალისწინებული სასწავლო გეგმის სილაბუსებით. მაგ: პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), ევრისტიკული მეთოდი და სხვ. სასურველი იყო პროგრამის აღწერილობით ნაწილში ჩამოთვლილი ყოფილიყო მხოლოდ ის მეთოდები, რომლებიც გამოყენებული იყო სილაბუსებში.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამა გახლდათ შეკრული, აკმაყოფილებდა სტანდარტებს, პასუხობდა დასახულ მიზანს და აუცილებლად გავიდოდა შედეგზე. რეკომენდაციები გასწორდა, ხოლო ნაწილი აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების შედეგად იქნებოდა გამოსწორებული და წარმოდგენილი სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა მექანიზაციის მაგისტრის მქონე პირი ეს იქნებოდა მენეჯერი, რომელიც ორგანიზაციაში მექანიზაციის დანერგვას უხელმძღვანელებდა, თუ თავად მექანიზმებთან ექნებოდა შეხება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველო არ გახლდათ ის ქვეყანა, სადაც ხდებოდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოება, ტექნიკა ძირითადად შემოდიოდა საზღვარგარეთიდან, ტექნიკა გახლდათ მრავალპროფილური, კურსდამთავრებულს უნდა სცოდნოდა ამ ტექნიკის სპეციფიკა და უნდა მიეცა მისთვის სწორი მიმართულება. პროგრამაზე იგეგმებოდა მომავალი სასწავლო წლიდან 15 სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-106

9. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიისა და სამედიცინო ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიოსამედიცინო ინჟინერია და სამედიცინო ინფორმატიკა
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარადგინეს ექსპერტებმა მანანა ხაჩიძემ და ირინე ფხაკაძემ.

- სასწავლო კომპონენტებიდან 10 კრედიტი საერთო საუნივერსიტეტო რეგულაციით განსაზღვრული საგნები იყო (ბიზნეს კომუნიკაცია და დარგობრივი ტექსტის თეორია და პრაქტიკა - ოთხ სხვადსხვა უცხო ენაზე), რომელთა სილაბუსებში სასწავლო კურსის შინაარსები წარმოდგენილი იყო განზოგადოებული სახით (ყველა სპეციალობისათვის ერთი და იგივე). აღნიშნული სასწავლო კურსების წარმოდგენილი სახით აუცილებლობის გავლენა სწავლების შედეგების მიღწევაზე ნათლად არ იკვეთებოდა. საგნებზე არჩევითი სტატუსის მინიჭება და დამატებით დარგის სხვა არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდა უფრო გაზრდიდა პროგრამის მიზნების და შედეგების მიღწევადობის ხარისხსს.
- პროგრამაზე დაშვების ერთ-ერთი პირობა იყო სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდა/გამოცდები სპეციალობაში. გამოცდების საკითხები/ტესტები განთავსდებოდა სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებ-გვერდზე გამოცდების დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე. წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მულტიდისციპლინური ხასიათისა და დარგობრივი სირთულის გამო, აბიტურიენტს საკუთარი შესაძლებლობების განსაზღვრას გაუადვილებდა დანართის სახით წარმოდგენილი ის დარგობრივი თემატიკა (თუნდაც საკითხების დაწვრილმანების გარეშე), როემლთა ცოდნაც მოეთხოვებოდა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს გამოცდის ჩასაბარებლად და შემდგომ პროგრამაზე სწავლებისათვის.
- შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები დეტალურად იყო გაწერილი ყველა კურსის სილაბუსში მეტწილად უნიფიცირებული სახით ყველა საგნისათვის, რაც განისაზღვრებოდა შიდა საუნივერსიტეტო დებულებებით. შუალედური და საბოლოო შეფასება წარმოდგენილი იყო ტესტური შეფასების სახით, რაც არ იძლეოდა სტუდენტის რიგი უნარების სრულად შეფასების საშუალებას, სასურველი იყო შეფასების მეთოდების შერჩევა მომხდარიყო საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით.

6.108

- პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ძირითადი სახელმძღვანელოები რომლებზე დაყრდნობითაც მიმდინარეობდა სწავლება, დაფუძნებული იყო თანამედროვე სამეცნიერო კვლევების შედეგებზე. რიგ შემთხვევებში მითითებული იყო მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა, რომელიც მინიმალურად ფარავდა სასწავლო კურსის შინაარსს. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არ იყო უცხო ენა, საბაკალავრო საფეხურის კურსდამთავრებულებს გააჩნდათ B2 დონის შესაბამისი რომელიმე უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული) კომპეტენცია. აქედან გამომდინარე სასურველი იყო სილაბუსებში მითითებულიყო ლიტერატურა ან შესაბამისი ელექტრონული რესურსები სხვა უცხო ენაზეც (მითუმეტეს აღნიშნული მასალის სიმწირეს ფაკულტეტი არ განიცდიდა).

ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ შემთხვევა, როდესაც წარმოდგენილი პროგრამა თავისი შინაარსით გახლდათ ძალზედ მნიშვნელოვანი. დაწესებულება სამედიცინო აპარატურის და ბიოინჟინერიის თვალსაზრისით ფლობდა სერიოზულ სატესტო ინსტრუმენტებს. ასევე ძალიან ბევრი ხელსაწყო შექმნილი იყო მათ მიერ რომელიც ტექნიკური პარამეტრებით არ ჩამოუვარდებოდა უცხოური წარმოების ხელსაწყოებს და სასურველი იქნებოდა თუ მოხდებოდა მათი სერიოული წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეთნხმებოდა ექსპერტის მიერ წარმოდგენილ რეკომენდაციებს. რაც შეეხებოდა ლიტერატურას დაწესებულება ფლობდა მას და უცხოენოვანი ლიტერატურა მითითებული იყო დამხმარე ლიტერატურაში, თუმცა შესაძლებელი იყო ძირითად ლიტერატურაში ჩასმაც, ვინიაიდან გახლდათ მაგისტრატურის საფეხური. მათ ჰქონდათ ასევე ინგლისურენოვანი პროგრამა აკრედიტებული, რომელიც უკვე ოთხი წლის მანძილზე ხორციელდებოდა წარმატებით. პროგრამა ჩართული იყო ტემპუსის პროექტში და სტუდენტები თავიანთი სამაგისტროს ნაწილს აკეთებდნენ ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტებში. დაწესებულების ლაბორატორია აღჭურვილი იყო უახლესი სამედიცინო ტექნიკით.

საბჭოს წევრი რევაზ სოლომონია დაინტერესდა კურსდამთავრებულს რა ეწერებოდათ ხარისხში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კურსდამთავრებულს ენიჭებოდა ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი. თანამედროვე სამედიცინო აპარატურა გახლდათ რთული ჩაშენებული სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც მაგნიტორეზონანსულ ტომოგრაფიას, პეტი, სკანერები, შიდალოკალური ქსელები, ტელემედიცინის სისტემები და მსგავსი ტექნიკის უზრუნველყოფას მოიცავდა და მოითხოვდა კომპლექსურ ცოდნას. საბოლოო ჯამში მიიღებოდა პროგრამული უზრუნველყოფის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა მიღების წინაპირობების შესახებ, მითითებული იყო თუ არა რომელი დარგის მცოდნე ბაკალავრს შეეძლო საბუთების შემოტანა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაზე მიღება ხდებოდა ერთიანი სამაგისტრო და შიდა გამოცდების საფუძველზე. პროგრამაზე იღებდნენ ტექნოლოგიების და ელექტრონული დარგების ბაკალავრებს. ასევე გათვალისიწინებულ იქნა ექსპერტის რეკომენდაცია და პროგრამას თანმხლებ დოკუმენტად შემუშავებული იქნა მისაღები საგამოცდო საკითხების ნუსხა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიისა და სამედიცინო ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 0

6.106

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიოსამედიცინო ინჟინერიისა და სამედიცინო ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-108

10. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საინჟინრო ფიზიკა
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საინჟინრო ფიზიკის ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტაების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითთშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა კახაბერ თავზარაშვილმა და ავთანდილ თავხელიძემ.

- თეორიულ ფიზიკა 2 საგანზე დაშვების წინაპირობა უნდა ყოფილიყო თეორიული ფიზიკა 1 ნაცვლად ფიზიკა 4.1 - ისა;
- საგნების აღწერები იყო არასრული. სასურველი იყო საგნის აღწერა ყოფილიყო უფრო ვრცელი და შინაარსობრივი;
- სილაბუსებში მითითებული დამხმარე ლიტერატურა რიგ შემთხვევებში იყო რუსულენოვანი და მოძველებული. სასურველი იყო დამხმარე ლიტერატურა განახლებულიყო თანამედროვე უცხოური ლიტერატურით;
- შეფასების სისტემა ძირითადად წარმოდგენილი იყო ტესტური ტიპის შეფასებებით. სასურველი იყო ტესტური შეფასების სისტემაში გათვალისწინებული ყოფილიყო სწავლის შედეგების მიღწევისათვის შეფასების უკუკავშირის მექანიზმები;
- პროგრამაში ინტერნაციონალიზაციის განსაკუთრებული პრაქტიკის არსებობის გამო სასურველი იყო მეტი ყურადღება დათმობოდა დარგობრივი ინგლისური ენის გაძლიერებულ სწავლებას;
- სასურველი იყო პროგრამაში არჩევითი კურსის სახით გათვალისწინებული ყოფილიყო პრაქტიკა ან საბაკალავრო პროექტი/ნაშრომი.

ექსპერტმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰყავდა არაერთი კვალიფიციური ბაკალავრი, ბევრი მათგანი ყოველ წელს მიდიოდა შვეიცარიაში და გერმანიაში კვლევით ცენტრებში, აღნიშნულის წინაპირობას წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ კარგი სწავლა. აღსანიშნავი იყო, რომ პროგრამა არ ითვალისწინებდა საბაკალავრო ნაშრომს, ექსპერტებმა მისცეს რჩევა გაეკეთებინათ, რაც მათი აზრით კიდევ უფრო გამოავლენდა საუკეთესო და პერსპექტიულ სტუდენტებს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა დიდი ხანია არსებობდა, არც წინა აკრედიტაციის დროს არ იყო ჩასმული საბაკალავრო ნაშრომი, რაც მისი აზრით ძალიან კარგი

ნ.ნ.

იქნებოდა რომ ყოფილიყო და აუცილებლად გაითვალისწინებდნენ. პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა პროექტი, რომელსაც სრულად აფინანსებდა გერმანული მხარე, თავად ჩამოდიოდნენ და კითხულობდნენ ლექციებს ორი წლის განმავლობაში, აღნიშნული ლექციებისათვის სტუდენტების შერჩევა ხდებოდა კონკურსის წესით და შემდგომ ამ კონკურსის შედეგად შერჩეული სტუდენტები გერმანული მხარის დაფინანსებით გააგრძელებდნენ სწავლებას საზღვარგარეთ. წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა რომ საბაკალავრო ნაშრომს აუცილებლად ექნებოდა წინაპირობა, სტუდენტს გავლილი უნდა ჰქონოდა პროგრამის სრული კურსი. ნაშრომი იქნება არჩევითი და მიუხედავად იმისა იყო თუ არა სტუდენტი გერმანიაში აუცილებლად გააკეთებს მას.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰყავდა საკმაოდ ბევრი აკადემიური პერსონალი და ჩანდა რომ არ ჰქონდათ საგნების უმეტესობაში პრაქტიკული საგნები გარდა ორისა, ხოლო ფიზიკას ასწავლიდნენ 1 საათს თეორიას და 2 საათი ეთმობოდა ლაბორატორიულ მეცადინეობას. მისი აზრით 4 წლის მანძილზე, 8 სემესტრში თითო თითო საათი მეცადინეობა არ იყო საკმარისი თუნდაც ფიზიკაში შესაბამისი ცოდნის მისაღებად. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო აღნიშნული საათების რაოდენობის გაზრდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ფიზიკის ფაკულტეტის სტუდენტებს ეკითხებოდათ პირველი საათი პრაქტიკული მეცადინეობა და შემდეგ გადიოდნენ თეორიულ საკითხებს. საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ პირველ კურსზე 3 საათში წარმოუდგენელი იყო ფიზიკის სწავლება და მისთვის გაუგებარი იყო ამხელა რესურსის მატარებელი ფაკულტეტი რატომ არ უთმობდა უმფრო მეტ დროს აღნიშნული დისციპლინის სწავლებას, რაც პროგრამას უფრო გააძლიერებდა და სტუდენტებს ფიზიკაში მისცემდა უფრო სიღრმისეულ ცდონას. მისი აზრით, სახეზე იყო სისტემური პრობლემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ფიზიკის საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-10б

11. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: მშენებლობის მენეჯმენტი
განათლების საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მშენებლობის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტაების რაოდენობა: 120

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარადგინეს ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ია ნაცვლიშვილმა.

- პროგრამის სტრუქტურაში მიზანშეწონილი იყო გათვალისწინებული ყოფილიყო თავისუფალი არჩევითი კომპონენტების მოდული, რაც სტუდენტებს მისცემდა საშუალებას თავიანთი ინტერესების გათვალისწინებით აკადემიური თავისუფლების ფარგლებში მოეხდინათ გარკვეული დისციპლინების არჩევა;
- პროგრამის სტრუქტურაში შემავალი 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი: ,,სამშენებლო ბიზნეს-პროცესების მენეჯმენტი", ფაქტობრივად თავისი შინაარსიდან გამომდინარე მოიცავდა ,,პროექტების მენეჯმენტის", ,,ოპერაციების მენეჯმენტის", ,,სტარტეგიული მენეჯმენტის" და ა.შ. საკითხებს, რომელთა ხარისხიანი სწავლა 5 კრედიტიანი კურსის ფარგლებში ურთულესი ამოცანა იყო. შესაბამისად, რეკომენდირებული იყო პროგრამის სტრუქტურებში: პროექტების მენეჯმენტი მშენებლობაში, რისკ მენეჯმენტი მშენებლობაში, ოპერაციების მენეჯმენტი და სტრატეგიული მენეჯმენტი ჩამოყალიბებულიყო როგორც დამოუკიდებელი დისციპლინები;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსთან ინტერვიურებით გაირკვა, რომ პროგრამის სტრუქტურის თავდაპირველი ვარიანტიდან ამოღებული იქნა ,,ლოგისტიკის" და ,,მარკეტინგის მენეჯმენტის" დისციპლინები და მოცემული დისციპლინები ჩანაცვლებულ იქნა დისციპლინებით: ,,საგადასახადო პოლიტიკა", და ,,სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა". შესაბამისად მართებული იქნებოდა, რომ პროგრამის სავალდებულო დისციპლინების ბადეში დაბრუნებულიყო ,,ლოგისტიკის" და ,,მარკეტინგის მენეჯმენტის" დისციპლინები, ხოლო ,,საგადასახადო პოლიტიკა" და ,,სახელმწიფო ბიუჯეტი და ფისკალური პოლიტიკა" გადასულიყო თავისუფალი არჩევითი დისციპლინების მოდულში;
- პროგრამის სავალდებულო დისციპლინების ბადიდან, მიზანშეწონილი იყო დისციპლინები: ,,შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება". ,,მონოლითური სახლმშენებლობის ტექნოლოგია" და ,,სამშენებლო კონსტრუქციები

6-106

(სპეცკურსი)", მათი შინაარსიდან გამომდინარე გადატანილი ყოფილიყო თავისუფალი არჩევითი დისციპლინების მოდულში, ხოლო სავალდებულო დისციპლინების მოდულში დამატებოდა ,,საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები", რაც ასევე ფიგურირებდა პროგრამის თავდაპირველ სტრუქტურაში;

- სასწავლო დისციპლინა ,,ბიზნეს-გეგმა მშენებლობაში", რომელიც იყო 5 კრედიტიანი შესასწავლი საკითხებიდან გამომდინარე საჭიროებდა მეტ კონცენტრირებას დისციპლინის უმთავრეს მიზანზე, რაც ასევე უნდა გამოხატულიყო დისციპლინის ფინალურ გამოცდაზე ბიზნეს გეგმის პრეზენტაციაში;

- დისციპლინა ,,დასაქმების პოლიტიკა მშენებლობაში", მისი შინაარსიდან და გამოყენებული სპეციფიკის გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა ჩამოყალიბებულიყო როგორც ,,ადამიანური რესურსების მენეჯმენტი „-ს სახელწოდებით;

- პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში საუბარი იყო სამშენებლო სფეროში არსებული მარკეტინგული გარემოს შეფასებისა და მაღალპროფესიული მენეჯერული უნარების სრულფასოვან გამოყენებაზე პრაქტიკულ მარკეტინგში. ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში სამშენებლო პროცესების ანტიკრიზისულ მართვასა და კონტროლზე, თუმცა პროგრამის სტრუქტურაში შემავალი დისციპლინები არ ითვალისწინებდნენ აღნიშნული საკითხების შესწავლას. მიზანშეწონილი იყო დისციპლინა ,,მარკეტინგული მენეჯმენტის" დამატება სავალდებულო ბადეში;

- პროგრამის სავალდებულო დისციპლინების წარმოდგენილ სტრუქტურაში ფიგურირებდა სპეციფიკური ტექნიკური დისციპლინები (მაგ: ,,შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება" ,,მონოლითური სახლმშენებლობის ტექნოლოგიები" და ,,სამშენებლო კონსტრუქციები (სპეცკურსი)"), რომელთა შესწავლაც მოითხოვდა ისეთი სპეციფიური ცოდნის არსებობას, რომლის არსებობას ვერც ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდები და ვერც უნივერსიტეტის მიერ დაწესებული შიდა გამოცდა ვერ უზრუნველყოფდა. მიზანშეწონილი იყო პროგრამაზე მიღების წინაპირობების კორექტირება;

- პროგრამის სავალდებულო დისციპლინების მოდულში შემავალ ისეთ სპეციფიკურ დისციპლინებს, როგორიც იყო ,,შენობა-ნაგებობების ვარიანტული ტექნოლოგიური დაპროექტება"და ,,სამშენებლო კონსტრუქციები (სპეცკურსი)" არ გააჩნდათ დაშვების წინაპირობა რაც ფაქტობრივად ართულებდა მათ შესწავლას, მიზანშეწონილი იყო განსაზღვრულიყო აღნიშნული დისციპლინებისათვის დაშვების ადეკვატური წინაპირობა;

- პროგრამის სავალდებულო დისციპლინებიდან ,,სამშენებლო ბიზნეს პროცესების მენეჯმენტის" განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის კომპეტენცია ვერ დასტურდებოდა, ვერც აკადემიური ხარისხით, ვერც შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით და ვერც პრაქტიკული გამოცდილებით;

- პროგრამის ფარგლებში არ გამოიყენებოდა უცხოენოვანი თანამედროვე სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს შეუშლიდა სტუდენტებში მენეჯერული კომპეტენციების ფორმირებას და მათი მაღალი კონკურენტუნარიანობის მიღწევას, მიზანშეწონილი იყო თანამედროვე უცხოენოვანი სასწავლო ლიტერატურის გამოყენება.

ექსპერტმა დაამატა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა და განმახორციელებელმა პერსონალმა იცოდა როგორი უნდა ყოფილიყო აღნიშნული სამაგისტრო პორგრამა, მათ ეს გააკეთეს, მაგრამ პროგრამა რომ ყოფილიყო დახვეწილი არ იქნებოდა ამნდენი შენიშვნა და შემოიფარგლებოდნენ მხოლოდ რეკომენდაციებით, ვინაიდან მათ ყავდათ საკმაოდ ძლიერი ადამიანური რესურსი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მადლობელი გახლდათ ექსპერტების ვინაიდან ისინი მოწოდებულები იყვნენ უფრო მეტად გაეჯანსაღებინათ წარმოდგენილი პროგრამა მის სტრუქტურაში დანახული ნაკლოვანებებიდან გამომდინარე. მოგვიწოდეს თემატიკიდან გამომდინარე წამოგვეწია რიგი საგნებიდან, რომლებიც ადრე იყო დამუშავებული

6.16

და ერგებოდა სტანდარტს, შესაბამისად მათ მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები იქნა გაზიარებული. წარმოადგინეს ელექტრონული მოდიფიცირებული ვერსია, ჩავამატეთ არჩევითი კომპონენტების ორი ველი ტექნიკური და ეკონომიკური დისციპლინებით და მოხდა მენეჯმენტის სფეროს გაძლიერება.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა სამშენებლო ბიზნესპორცესების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის ფუნქციით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საგანი სამშენებლო ბიზნესპროცესები ამოღებულ იქნა პროგრამიდან, ჩანაცვლდა სტრატეგიული და რისკ მენეჯმენტის საგნებით. დაწესებულების წარმომადგენელმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ექსპერტთა ყველა რეკომენდაცია იქნა გაზიარებული.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მშენებლობის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

18:21 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება.

სხდომა განახლდა 18:45 საათზე

6-16

12. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: თეოლოგია
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: თეოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ბეჟან ჯავახიამ და ფიქრია ვარდოსანიძემ.

- სასურველი იყო დაზუსტებულიყო და გამოკვეთილიყო პროგრამის მიზნები, რადგანაც წარმოდგენილი იყო მხოლოდ ზოგადი და ბუნდოვანი ფრაზებით;
- უმჯობესი იქნებოდა გადმოეცათ წარმოდგენილი პროგრამის ძირითადი აქცენტები, ის რომ პროგრამა ხორციელდებოდა მართლმადიდებლური თეოლოგიის მიმართულებით, რაც დასტურდებოდა წარმოდგენილი სილაბუსებით, პროგრამაში ჩართული პერსონალის კვალიფკაციით;
- სასურველი იყო სადოქტორო პროგრამას შეეთავაზებინა კურსდამთავრებულისათვის დასაქმების სფეროს ფართო არეალი, რადგან თეოლოგიის დოქტორებს თავისუფლად შეეძლოთ დასაქმება უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში, სამთავრობო და არასამთავრობო სექტორში და სხვ.;
- სასურველი იყო პროგრამის მიღების წინაპირობებში მითითებულიყო ნებსმიერი დარგის მაგისტრი ან კონკრეტული დარგის მაგისტრი;
- სასურველი იყო თანამედროვე თეოლოგიური კვლევების მონაცემების ასახვა სასწავლო კურსის სილაბუსებში, რათა მეტი საშუალება მისცემოდა დოქტორანტს გაცნობოდა თანამედროვე დისკუსს ეკლესიის ისტორიისა და ზოგადი თეოლოგიის შესახებ;
- სადოქტორო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტში შეთავაზებული სავალდებულო საგნები ასრულებდა 60 კრედიტს, შესაბამისად, მიზანშეწონილი იქნებოდა დარგის ან მომიჯნავე დარგის არჩევითი ციკლის დისციპლინების შეთავაზება;
- მითითებული იყო, რომ სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებდა ამა თუ იმ მოქმედებას, პედაგოგიურ პრაქტიკას, კვლევით მუშაობას და სხვ. თუმცა პედაგოგიური პრაქტიკის (პროფესორის ასისტენტი) განხორციელების არავითარი შესაძლებლობა არ იყო წარმოდგენილი;

6.60

- სასურველი იყო უნივერსიტეტს მიეღო დადგენილება დაცული სადოქტორო ნაშრომების უნივერსიტეტის ვებგვერდზე აუცილებელი განთავსების შესახებ, რათა უფრო საჯარო გამხდარიყო სადისერტაციო ნაშრომი, ასევე ის სიახლე რომელიც წარმოდგენილი იყო სადისერტაციო ნაშრომში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რომელ ფაკულტეტს მიეკუთვნებოდა თეოლოგია. ექსპერტმა განაცხადა, რომ თეოლოგია მიეკუთვნებოდა ბიზნესინჟინერინგის ფაკულტეტს.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინეს ყველა რეკომენდაცია, ცვლილებები უკვე იყო ასახული პროგრამაში, პროგრამის მიზნებში და ამოცანებში მოხდა ასახვა იმისა, რომ პორგრამას ჰქონდა მართლმადიდებლური ორიენტაცია, მიზნებში იყო ტექნიკური ხარვეზი, სადაც ამოვარდნილი იყო ორი სიტყვა რის საფუძველზეც იკარგებოდა საერთო აზრი და აღნიშნულიც იქნა შესწორებული.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რა სიტყვები დაემატა მიზანს იმისათვის რომ მისი მნიშვნელობა ყოფილიყო გამართული. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბუნდოვან ფრაზას წარმოადგენდა ,,დოქტორანტის მომზადება თეოლოგიური მეცნიერების კვლევებში მსოფლიო კულტურისა და ღვთისმეტყველების დამფუძნებელთა შემოქმედების მეცნიერული ცოდნა" , წაკითხული ამოვარდნილი იყო კონტექსტიდან ვინაიდან იგი იყო წინა წინადადების გაგრძელება და სწორედ აქ იქნა დამატებული ორი სიტყვა ისტორია და კვლევევბი რის შემდეგაც უკვე იკითხებოდა ,,მსოფლიო კულტურის ისტორიისა და ღვთისმეტყველების კვლევების დამფუძნებელთა შემოქმედების მეცნიერული ცოდნა". რაც შეეხებოდა იმას, რომ შიგნით უნდა ყოფილიყო მითითებული რომ იგულიხმებოდა კონფესია მართლმადიდებლობა, აღნიშნულიც იყო შესწორებული და შეტანილი. სამწუხაროდ ვერ განხორციელდა ცვლილება სათაურში ვაინაიდან ხარისხი ენიჭებოდა პირდაპირ თეოლოგიის.

საბჭოს წევრმა ლევან გორდეზიანმა განაცხადა, რომ არ ეთანხმებოდა იმას რომ არ განხორციელდა ცვლილება თავად სათაურშიც ვინაიდან თავად სათაურში უნდა ყოფილიყო მითითება თუ რას მოიცავდა პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ თეოლოგია მოიაზრებდა რელიგიურ შინაარს, მაგრამ თუ საბჭოს რეკომენდაცია გახლდათ შესაძლებელი იყო სათაურის შეცვლაც. შექმნილი იყო არჩევითი საგნების ბლოკიც რეკომენდაციის საფუძველზე, ბლოკში შესული იყო თეოლოგიური კვლევებიც. რაც შეეხებოდა დასაქმების სფეროს გაფართოებას, მათ ჰქონდათ შეთანხმება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრთან, ასევე მათ ჰქონდათ შესაბამისი ხელშეკრულებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებთანაც.

საბჭოს წევრი თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა თეორიული ექსპერიმენტული კვლვეა 1-ს კურსთან დაკავშირებით, გარდა ამისა პროგრამა გადიოდა კიდევ ორ კვლევით კურსს, საინტერესო იყო რა კავშირში იყო აღნიშნული სამი კურსი ერთმანეთთან და რითი განსხვავდებოდნენ ისინი. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნული გახლდათ კვლევითი კომპონენტი, რომლის სილაბუსი წარმოდგენილი იქნა ცენტრში. კვლევის მეთოდოლოგია დისერტაციაზე მუშაობის და კონკრეტული პრობლემის კვლევის დროს უშუალოდ ხელმძღვანელთან ურთიერთობას გულისხმობდა. იგი გახლდათ გარკვეული მეცნიერული კვლევის პრაქტიკა. კიდევ ორი კურსი გახლდათ კვლევის დიციპლინა.

საბჭოს წევრმა თამარ ბრეგვაძემ კიდევ ერთხელ დააკონკრეტა მისი შეკითხვა, კერძოდ მას აინტერესებდა კვლევის კომპონენტის 3 კურსიდან თითოეული მათგანი რას ასწავლიდა სტუდენტს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საგნებში წარმოდგენილი კვლევის მეთოდოლოგია გახლდათ კვლევის მეთოდების შესწავლა.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ექსპერიმენტული კვლევა ასწავლიდა კვლევის ყველა მეთოდს. ყველა უნივერსიტეტს ჰქონდა აღნიშნული კურსი.

6-1ა

საბჭოს წევრი დაინტერესდა ძირითადი აკადემიური პერსონალი გახლდათ მოწვეული თუ დაკომპლეტებული იყო ადგილობრივი კადრებით. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იყო ერთი მოწვეული პედაგოგი და დანარჩენები იყვნენ ადგილობრივი პერსონალი.

საბჭოს წევრი ნათელა სახოკია დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღება იგეგმბოდა პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ვინაიდან პროგრამაში დაკავებული იყო მხოლოდ 4 პროფესორი სავარაუდოდ 10 სტუდენტზე მეტს ვერ მიიღებდნენ.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რა მოთხოვნები იქნებოდა წაყენებული დისერტაციის მიმართ. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უმთავრესი იყო პუბლიკაციები, უნივერსიტეტს ჰქონდა თანამშრომლობა უცხოეთის უნივერსიტეტებთან, სადაც ხორციელდებოდა ანალოგიური პროგრამები და ხდებოდა ნაშრომების სიახლეების გაცნობა, დისერტაციების ნაწილების გამოქვეყნება, საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, 3 ნაშრომი აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოქვეყნებული უცხოეთის აკრედიტებულ ჟურნალში.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა ელოდებოდნენ თუ არა პროგრამაზე სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულებს. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასულიერო სემინარიის კურსდამთავრებულები უფრო მიილტვოდნენ საერო უნივერსიტეტებისაკენ და შესაბამისად მათი მხრიდან იყო დაინტერესება წარმოდგენილი პროგრამის მიმართ.

დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ სამწუხაროდ ვერ მოესწრო სხდომამდე, მაგრამ ისინი აუცილებლად დაამატებდნენ არჩევით ბლოკში კიდევ ორ საგანს და გააძლიერებდნენ მას, აუცილბლად მოხდებოდა თანამედროვე თეოლოგიური კვლევების კურსის ჩადებაც, მოხდებოდა ცვლილება სათაურშიც და თუ მათ სურვილი ექნებოდათ მონიტორინგის გზით შეეძლოთ რამოდენიმე დღეში მიღებული ცვლილებების გადამოწმება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 6
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თეოლოგიის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

6-105

13. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენების, ლიტერატურისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკიტხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: უცხოური ენები, ლიტერატურა და კულტურათშორისი კომუნიკაცია
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფილოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტაების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა ეკატერინე ბაკარაძემ და ნინო ქიმერიძემ.

- მიზანშეწონილი იყო გაწერილიყო სასწავლო პროგრამაში მიზნები დეტალურად კომპეტენციებისა და კვლევითი სფეროების სპეციფიკის გათვალისწინებით, ამასთან გათვალისწინებული ყოფილიყო ბაზრის მოთხოვნები რაც საფუძვლად დაედებოდა დასაქმების სფეროების მიზნობრივ შერჩევას (მაგ: პორგრამის შინაარსიდან გამომდინარე ნაკლებად შესაძლებლი იყო კურსდამთავრებული დასაქმებულიყო მთარგმნელად, მითუფრო თარჯიმნად, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტად, საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსად):
- სასურველი იქნებოდა პროგრამის ცალკეული მონაკვეთები შინაარსის თვალსაზრისით გადამუშავებულიყო, კერძოდ:

გამომდინარე კომპეტენციათა და შინაარსის არაერთგვაროვნბეიდან, მიზანშეწონილი იქნებოდა სასწავლო დისციპლინის ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკან და სწავლების თანამედროვე მეთოდები" წარმოდგენილი ყოფილიყო ორ დამოუკიდბელ დისციპლინად: ,,სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა" (სასწავლო დისციპლინა ითვალისწინებდა დოქტორანტის მომზადებას, როგორც ზეპირ ისე წერილობით სამეცნიერო კომუნიკაციაში) და ,,სწავლების თანამედროვე მეთოდები" (რომელიც პორგრამაში გააზრებული იყო სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის დაუფლების მიზნით);

სასურველი იქნებოდა გადახედილიყო სასწავლო დისციპლინის ,,კვლევის მეთოდები თანამედროვე ფილოლოგიაში" შინაარსი, გამომდინარე მისი სათაურიდან სადაც მაგ: დარგის კვლევის თანამედროვე მიდგომებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იქნებოდა თუ განიხილებოდა სიკურსის ანალიზის უახლესი მეთოდები (მაგ: DIMEAN - დისკურსის ლინგვისტიკის მრავალდონიანი ანალიზი) და პერსპექტივები, ასევე კორპუსის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია, რაც ინტეგრირებული ფილოლოგიური კვლევების მნიშვნელოვანი მიმართულებები იყო უკანასკნელ წლებში;

6-105

სასწავლო დისციპლინას ,, თანამედროვე ლინგვისტური თეორიები" თავისი შინაარსიდან გამომდინარე შეიძლებოდა წოდებოდა ზოგადად ,,ლინგვისტური თეორიები", რადგან მასში განხილული იყო ყველა არსებული მნიშვნელოვანი თეორია, მწირად - თანამედროვე თეორიები;

მიზანშეწონილი იყო პროგრამას არჩევით კურსებში ცალ-ცალკე სასწავლო კურსებად წარმოედგინა დისციპლინა ,,თანამედროვე ანგლო-ამერიკული და დასავლეთევროპული ლიტერატურულიპროცესები". კურსის შემდგენელი სიღრმისეულად წარმოადგენდა როგორც ანგლო-ამერიკულ ისე დასავლეთევროპული ლიტერატურის განვითარების ეტაპებსა და საკვანძო ლიტერატურულ პროცესებს, ამდენად, გამომდინარე სწავლების საფეხურიდან და პროგრამის კვლევითი დანიშნულებიდან სასურველი იქნებოდა თუ პროგრამა შთავაზებულ კორექტირებას მოახდენდა რაც გაზრდიდა როგორც სასწავლო კომპონენტის არჩევითობის ხარისხსს ასევე კვლევების მასშტაბს;

- საჭირო იყო გადახედილიყო სასწავლო დისციპლინის ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზი სილაბუსის შინაარსობრივი მხარე, ვინაიდან მისი შინაარსის მიხედვით, იგი უფრო იყო ჰერმენევტიკის განვითარების ეტაპები, ვიდრე ტექსტის ჰერმენევტიკული ანალიზი; მსგავს სასაწავლო დისციპლინას უნდა ჰქონოდა სასემინარო ფორმატი. გამომდინარე სადოქტორო პროგრამის კონცეფციიდან, რაც გულისხმობდა ინტეგრირებულ, ინტერდისციპლინურ კვლევებს ფილოლოგიის დარგში, უმჯობესი იქნებოდა თუ სასწავლო დისციპლინა შეივსებოდა ლინგვისტური ჰერმენევტიკის აქტუალური საკითხებით (მით უფრო, რომ თანამედროვე ლიტერატურული ტექსტების სუბტრატი ხშირად არღვევდა ენის ნორმებსა და კანონებს, რომელსაც ავტორი ინტენციის გამოსახატავად მიმართავდა და რომელთა განმარტება ხშირად ტექსტის საზრისის გაგების ტოლფასი იყო);

- სასწავლო დისციპლინათა შორის სასწავლო კურსის ლინგვოდიდაქტიკა და უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა, მათი არსებობა ნაკლებად მიზანშეწონილი იყო, რადგან უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა განათლების მიმართულების ერთ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენდა, რომელიც კომპლექსურად გულისხმობდა არაერთ დისციპლინას, რომლის შესწავლის შემდგომ შესაძლებელი იყო აუცილებელი კომპეტენციების დაგროვება სწავლისა და სწავლების მოდულში. წინამდებარე დისციპლინა მნიშვნელოვანი იქნებოდა განათლების პროგრამისათვის და ნაკლებად რელევანტური იყო ფილოლოგიურ კვლევებში კომპეტენციის დასაგროვებლად;

- საჭირო იყო გადახედილიყო სასწავლო დისციპლინათა შინაარსები და შესწორებულიყო - ცალკეული დარგობრივი ტერმინოლოგია, ცნებითი აპარატი (მაგ, იხ. სასწავლო სილაბუსი თანამედროვე ლინგვისტური თეორიები, გვ.12: კოგეზია, კოგერენცია); სილაბუსის შინაარსები, საკითხების დუბლირების თავიდან ასაცილებლად: მაგ. იხ. სასწავლო სილაბუსი თანამედროვე ლინგვისტურ თეორიები, სადაც კვირა 14 საკითხების ჩამონათვალში იყო ჰერმენევტიკა პროგრამაში ცალკე იყო სასწავლო დისციპლინა, რომელიც ტექსტის ჰერემენევტიკულ ანალიზს კი არ იხილავდა, არამედ ჰერმენევტიკის განვითარების ისტორიას. სილაბუსში არ იყო ლინგვისტური ჰერმენევტიკის საკითხი განხილული, საინტერესო იყო როგორ განიხილებოდა ჰერმენევტიკის პრობლემატიკა თანამედროვე ლინგვისტური თეორიების სასწავლო დისციპლინის სილაბუსში.

- სასურველი იყო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ყოფილიყო სილაბუსი სასწავლო კომპონენტისათვის თემატური სემინარი, როგორც სასწავლო პროცესის შემადგენელი კომპონენტის ერთგვარი გზამკვლევი, რომლის გაცნობის შემდგომ სტუდენტს სრული წარმოდგენა ექნებოდა მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესახებ. ანალოგიური რეკომენდაცია იქნა გაცემული სადოქტორო კოლოკვიუმისადმი, რომლის სილაბუსის წარმოდგენა ასევე იყო მიზანშეწონილი.

- სასურველი იყო ცალკეულ სასწავლო კურსებში სწავლების მეთოდები გაწერილიყო სასწავლო დისციპლინის სწავლების სპეციფიკიდან გამომდინარე (მაგ., უმეტეს სასწავლო სილაბუსში ფიქსირდებოდა სწავლების მეთოდი როლური თამაშები, რაც მესამე საფეხურის

6-ლ

სასწავლო პროგრამისათვის ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო), ასევე მნიშვნელოვანი იყო, რომ ვერბალურ მეთოდში მოაზრებული ყოფილიყო სასემინარო ფორმატიც, რადგან ფილოლოგიური კვლევები უწინარესად იყო ტექსტის კვლევები, რომლის ანალიზი ეძღვნებოდა კონკრეტული დისციპლინაც ჰერმენევტიკული ანალიზი, რომლის განხორციელება წაქრმოუდგენელი იყო სასემინარო სამყშაოს გარეშე. ასევე შესაძლებელი იყო სასემინარო ფორმატის გარეშე სასწავლო მეთოდოლოგიაში გააქტიურებული ყოფილიყო შემთხვევებზე დაფუძნებული მეთოდი;

- სასურველი იყო კონკრეტულად და ნათლად გაწერილიყო ცალკეული სასწავლო კურსის სწავლების შედეგები აღნიშნულ დისციპლინათა კომპეტენციებთან შესაბამისობაში (მაგ., სწავლის შედეგები პრაქტიკულად იდენტური იყო დისციპლინებისათვის: თანამედროვე ანგლო-ამერიკული ლიტერატურული პროცესი და თანამედროვე რუსული და რუსულენოვანი ლიტერატურული პროცესი, ან მაგ., ცოდნის შედეგებზე ვერ გადიოდა სასწავლო დისციპლინა ლინგვოდიდაქტიკა და უცხოური ენების სწავლების მეთოდიკა) და ამის შემდგომ სწავლის შედეგების რუკა შესაბამისობაში მოსულიყო სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგებთან (მაგ., სასწავლო დისციპლინაში-სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები სწავლის შედეგებში არ იყო გათვალისწინებული სასწავლო საგანი დარგობრივი კომუნიკაციის უნარების შემძენი კურსდამტავრებულისათვის როგორც წერილობით ასევე ზეპირ ფორმაში);

- სადოქტორო პროგრამის პუნქტში პროგრამაზე დაშვების წინაპირობები სასურველი იყო გასწორებულიყო კონკრეტული პუნქტები. კერძოდ:

სადოქტორო პროგრამაზე დაშვებულ კონკურსანტთა კვალიფიკაცია განათლების მეცნიერებები არ ითვალისწინებდა იმ დარგობრივ კომპეტენციებს (განათლების მეცნიერებები მიეკუთვნებოდა რეგულირებად დარგებს, სადაც სტუდენტი ვერ ღებულობდა იმ ხარისხს ფილოლოგიურ კომპეტენციებს, რომლის საფუძველზე სტუდენტი მოახერხებდა კვლევებს წინამდებარე პროგრამის ფარგლებში), რაც სავალდებულო იყო წინამდებარე პროგრამაზე ჩასარიცხ სტუდენტთათვის;

აუცილებელი იყო წინაპირობას უცხოური ენის კომპეტენციის შესახებ, კონკრეტულად დამატებოდა მინიშნება, რომ იმ კონკურსანტათვის, რომლებიც კვლევებს განახორციელებდნენ ევროპული ენების ფილოლოგიის ფარგლებში, სავალდებულო პირობაში მინიშნებოდათ, რომ კონკურსანტებს მოეთხოვებოდათ უცხოური ენის დამადასტურებელი სერტიფიკათი, რომელიც შეესაბამებოდა უცხოური ენების სწავლისა და სწავლების საერთო ევროპულ სარეკომენდაციო ჩარჩოს C1 დონეს;

სადოქტორო პროგრამაზე მიღების ადრგობრივი გასაუბრების სქემაში სასურველი იყო დამატებოდა შეფასებითი ნაწილი, გამოცდების შედეგები იქნებოდა გაზომვადი, რითაც კიდევ უფრო დეტალური და გამჭვირვალე გახდებოდა სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

- სასურველი იყო სწავლების მეთოდები ცალკეული სასწავლო დისციპლინისათვის გაწერილიყო კონკრეტულად და სასწავლო საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე;

- სასურველი იყო საბოლოო შეფასებამდე სასწავლო პროცესის განმავლობაში მომხდარიყო სტუდენტის ზეპირი კომუნიკაციის შეფასება სასემინარო აქტივობის ფორმატში, რასაც დაემატებოდა მისი წერილობითი ნაშრომების შუალედური შეფასებები, შეფასების ფორმების მრავალფეროვნებისათვის. ასევე არსებითი იყო სადოქტორო სემინარისა და კოლოკვიუმის წინასწარი შეფასება განხორციელებულიყო არა სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ, არამედ რეცენზენტის მიერ, ნაშრომის შეფასების მეტი ობიექტურობის მიზნით;

- სასურველი იყო ცალკეული სასწავლო დისციპლინის სილაბუსში დეტალურად ყოფილიყო მინიშნებული საკონსულტაციო დრო და ადგილი პედაგოგის მიერ;

- აღსანიშნავია, რომ ცალკეული მემორანდუმები იყო ვადაგასული და მოითხოვდა განახლებას. რაც შეეხებოდა ჰუმანიტარიის მიმართულებით თანამშრომლობის ინეტრნაციონალიზაციას, სასურველი იყო რომ მემორანდუმის ფარგლებში დასახულიყო

6-106

კონკრეტული და მიზანმიმართული თანამშრომლობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ყველაზე მნიშვნელოვან სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუციებთან, რათა შესაძლებელი გამხდარიყო სასწავლო პროგრამის მიახლოება თანამედროვე სწავლებისა და კველევბის სტანდარტებთან;

- სასურველი იქნებოდა უნივერსიტეტს ეზრუნა საბიბლიოთეკო ფონდის გაფართოებაზე და სპეციფიკური მიმართულებით უახლესი კვლევების ამსახველ ლიეტარტურაზე;
- ცალკეულ დისციპლინებში ძირიტადი აქცენტი კეთდებოდა რუსული სამეცნიერო სკოლების კვლევებზე. სასურველი იყო გაფართოებულიყო ბიბლიოგრაფიის ნაწილი ევროპული სამეცნიერო სკოლების კვლევების მონაცემებით. ასევე მნიშვნელოვანი იყო კონკრეტულ სილაბუსებში სასწავლო ლიტერატურის სიაში წარმოდგენილი ყოფილიყო კვლევითი ნაშრომების ზღვრული რაოდენობა, ხოლო სასწავლო გეგმის შინაარსის ნაწილი კონკრეტული თემატიკის მიხედვით მითითებული ყოფილიყო ძირითადი თემის შესასწავლად მნიშვნელოვანი ავტორები და ნაშრომები.

სხდომის თავმჯოდმარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაითვალისწინეს რეკომენდაციები. წინაპირობაში ინგლისური ენის დონის ცოდნა განისაზღვრა B2 დონით, ცვლილება შევიდა პროგრამის მიზანში, რომელიც არ იყო ფართოდ გაწერილი. ასევე კითხვებს ბადებდა თარჯიმნის საკითხი, ამიტომ მოხდა პროგრამის მოდიფიცირება შემდეგ ვარიანტად: ფილოლოგის დოქტორს შეეძლო შეესრულებინა მეცნიერ-მკვლევარის, მასწავლებლის, მთარგმნელის მოვალეობები და ხელი შეეწყო კულტურათაშორისი დიალოგის საშუალებით ორგანიზაციის საერთაშორისო ურთიერთობების წარმართვასა და განვითარებისათვის. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას ზოგადსაუნივერსიტეტო კურსთან დაკავშირებით, რომელიც შედიოდა სადოქტორ პროგრამაში, პროფესორი რომელიც კითხულობდა აღნიშნულ კურსს თანახმა იყო შეეტანა ის ცვლილებები რაც გათვალისწინებული იყო რეკომენდაციით.

რაც შეეხებოდა სამეცნიერო სემინარს და პროფესორის აკადემიურ თავისუფლებას, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სილაბუსში რომელიც არ იყო ჯერ კიდევ მოდიფიცირებული ჩადებული იყო მე-14 კვირაში პროფესიული ლინგვისტიკა და ლიტერატურაშიც იყო გათვალისწინებული. რაც შეეხებოდა დისკურსის კონკრეტულ ანალიზს, მის თემატიკაში მოყვანილი იყო დისკურსის კონცეპტუალური ანალიზი. კონცეპტუალური ანალიზი მოიცავდა კონკრეტულ საკითხებს მათ შორის იმ აქტუალურ თემატიკას, როგორიც იყო დისკურსული პიროვნება, დისკურსის სტრუქტურული პარამეტრების ანალიზი და ა.შ.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა რომ წარმომადგენელი საუბრობდა დარგის სპეციფიკურ საკითხებზე, რომლიც საბჭოსათვის ცოტა რთული გასაგები იყო. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა ექსპერტთა მიერ დაფიქსირებულ რეკომენდაციებსა და შენიშვნებზე, რას იზიარებდა დაწესებულება და რას არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დააფიქისირა მოსაზრება რეკომენდაციაში ასახულ ლიტერატურის სიჭარბესთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა რამოდენიმე დისციპლინას, არ ეთანხმებოდნენ რომ რუსული ლიტერატურის სიჭარბესთან გამოთქმულ რეკომენდაციას.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა რა მოთხოვნები იყო სადისერტაციო ნაშრომის მიმართ წაყენებული. აკრედიტაციის ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა ამ მიმართულების სადოქტორო პროგრამების განხორციელების დიდი ტრადიცია. აღნიშნულის დასადასტურებლად ექსპერტებს წარედგინათ წინა წლებში დაცული დისერტაციების ნაწილი, რათა მათ შეჰქმნოდათ წარმოდგენა რამდენად ხარისხისხიანად ხორციელდებოდა ამ მიმართულების სადოქტორო პროგრამები დაცვა დაწესებულებაში. სადისერტაციო ნაშრომების ნახვის შედეგად გამოვლინდა, რომ ძირითადად იყო ქართული და რუსული ფილოლოგიის თემები. ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომების ნახვის ინტერესი მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ დარწმუნებულიყვნენ რამდენად ჰქონდა დაწესებულებას რესურსი მოცემული მიმართულების სადოქტორო პროგრამების განხორციელების, რათა უზრუნველყოფილიყო წარმოდგენილი

6.16

პროგრამის მდგრადობა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დისერტაციების ნაწილი არ იყო სათანადო ხარისხის, კერძოდ წარმოდგენილ იქნა დისერტაციები სადაც 9 ერთეული ლიტერატურა იყო გამოყენებული, ასევე წარმოდგენილი იქნა 90 გვერდიანი სადოქტორო დისერტაციები. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფდა, რომ პროგრამა არ იყო უზრუნველყოფილი სათანადო ადამიანური რესურსით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტანდარტის ახალ მოთხოვნებთან დაკავშირებით აქტუალური იყო მეცნიერული სიახლე, საავტორო უფლებების და პლაგიატის გაცნობიერება, პუბლიკაციები და სტატიები. პროგრამის დასახული მიზანი ნათლად იყო გაწერილი მოდიფიცირებულ ვარიანტში და წარმომადგენელი მზად იყო წაეკითხა იგი საბჭოს წევრებისათვის.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბჭო არ იყო ვალდებული სხდომაზე განეხილა პროგრამის მიზანი და გაცნობოდა მას ვინაიდან მის გასაანალიზებლად არსებობდა ექსპერტთა ჯგუფი, მისთვის მისაღები იყო რომ შეიძლებოდა განხორციელებულიყო გარკვეული ცვლილებები და ამის საქმის კურსში ჩაეყენებინათ საბჭო, მაგრამ იგი არ იყო ვალდებული დარგობრივად სცოდნოდა განსახილველი საკითხის შინაარსი.

თავმჯდომარემ ასევე დაამატა, რომ მას დარჩა შთაბეჭდილება თითქოს დოქტორანტი იქნებოდა მხოლოდ თარჯიმანი. წარმომადგენელმა განმარტა რომ თარჯიმანი მითითებული იყო მხოლოდ დასაქმების სფეროსთან დაკავშირებით. მითითებული იყო მხოლოდ ის, რომ დოქტორანტს შეეძლო მთარგმენლის მოვალეობების შესრულება.

ექსპერტმა განაცხადა, რომ არ იყო სწორი დოქტორანტის კომპეტენციაში თარჯიმნის კომპეტენციის გაწერა, ვინაიდან თარჯიმანი გახლდათ სულ სხვა სტანდარტზე ორიენტირებული პროფესია, რომელიც იწყებოდა მაგისტრატურის დონიდან და მოიცავდა სამ ენას, ხოლო სტანდარტი შემუშავებული გახლდათ ევროკავშირის მიერ. თარჯიმანს ესაჭირეობოდა ცალკე საგნები, კომპეტენციები, თარგმნის ტექნიკა და სხვა.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული შენიშვნები იყო არსებითი ხასიათის. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენების, ლიტერატურისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 6

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის უცხოური ენების, ლიტერატურისა და კულტურათშორისი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე.

საბჭოს სხდომაზე 19:45 საათზე გამოცხადდა შესვენება.
სხდომა განახლდა 19:55 საათზე.

6.106

14. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტი
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მენეჯმენტის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტაების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა გიორგი ღაღანიძემ, ვასილ კიკუტაძემ და ია ნაცვლიშვილმა.

- სასურველი იყო დაზუსტებული ყოფილიყო თემატიკის საათობრივი განაწილება (მაგ. სილაბუსში ,,თანამედროვე ტენდენცები საწარმოთა მართვაში" ნათლად ყოფილიყო მითითებული თუ როგორ ხდებოდა 30 სასემინარო თემის 45 სასემინარო საათის მიხედვით განაწილება).
- მიზანშეწონილი იქნებოდა დაზუსტებულიყო ცალკეული სასწავლო კურსის თემატიკა, რათა სასწავლო კურსის შინაარსს უკეთესად უზრუნველყო სასწავლო კურსის შედეგების მიღწევა (მაგ. სასწავლო კურსის ,,ინტელექტუალური პოტენციალი და ინტელექტუალური საკუთრება" თემატიკა ძირითადად უზრუნველყოფდა სასწავლო კურსის შედეგებში მითითებულ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მხოლოდ ერთ-ერთი უნარის - ,,ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების სამართლებრივი დაცვა"-გამომუშავებას და ვერ უზრუნველყოფდა იქვე მითითებული სხვა პრაქტიკული უნარების (სტრატეგიული და ოპერატიული ანალიზის მეთოდების გამოყენება ინტელექტუალური პოტენციალის შესწავლის და შეფასების მიზნით; ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და გამხორციელება) გამომუშავებას კურსდამთავრებულის მიერ. სასწავლო კუსის ,,ინტელექტუალური პოტენციალი და ინტელექტუალური საკუთრება" განმახორციელებელი პირი სასწავლო კურსის თემატიკიდან და შინაარსიდან გამომდინარე სასურველი იყო სამართლის დარგის სპეციალისტი ყოფილიყო;
- სასურველი იყო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობას გაეთვალისწინებინა არჩევით სასწავლო კურსებს, რაც საშუალებას მისცემდა დოქტორანტს გაემდიდრებინა ცოდნა ცალკეული მიმართულებით მისი კვლევითი ინტერესედინად გამომდინარე;
- მიზანშეწონილი იყო პროგრამაში გათვალისწინებული ყოფილიყო ,,კვლევის მეთოდების" 5 კრედიტიანი სასწავლო კურსი, რომელიც ხელს შეუწყობდა დოქტორანტისათვის ფრიად საჭირო მეცნიერული კვლევის უნარების გამომუშავებას და რომლის სწავლებაც, ამავე დროს,

6.105

სტუ-ს დოქტორანტურის მარეგულირებელი წესებიდან გამომდინარე აუცილებელი მოთხოვნა იყო;

- მიზანშეწონილი იყო დაზუსტებულიყო სასწავლო კურსის ,,ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზრის ჩამოყალიბების და კვლევის მეთოდები" სათაური და შინაარსი: სასწავლო კურსისვ თემატიკა მთლიანად ეთმობოდა მხოლოდ ინოვაციური ტექნოლოგიების ბაზრის ფორმირების პრობლემატიკას და არ იყო წარმოდგენილი კვლევის მეთოდების შესწავლაზე ორიენტირებული საკითხები;

- მიზანშეწონილი იყო პროგრამის ზოგიერთი კომპონენტის სასწავლო მასალა გამდიდრებულიყო უახლესი უცხოური და ქართულენოვანი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით (მაგ. სილაბუსში ,,თანამედროვე ტენდენციები საწარმოტა მართვა" სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულ 1911 და 1919 წელს გამოცემულ კლასიკურ სასწავლო მასალებთან ერთად სასურველი იქნებოდა საწარმოთა მართვის თანამედროვე ტენდენციების შესახებ უახლესი უცხოური სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის მითითებაც.).

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა მიეკუთვნებოდა ენერგეტიკის ფაკულტეტს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები იქნა მიღებული და გაზიარებული, დაწესებულებას ჰქონდა აღნიშნული დარგის საბაკალავრო და სამაგისტრო აკრედიტირებული პროგრამები, გაჩნდა მოთხოვნა მესამე საფეხურის დამატებისა. ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ საქართველოს რეგიონის მასშტაბით ინოვაციური მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა, არსებობდა სამთავრობო კონცეფციაც რომელიც ხელს შეუწყობდა საყოველთაო საუნივერსიტეტო განათლების გაძლიერებას ინოვაციების კუთხით სამივე საფეხურზე. დაწესებულბას ასევე გააჩნდა ბაზა და ჰყავდა შესაბამისი აკადემიური პერსონალი აღნიშნული პროგრამის წარმატებით განსახორციელებლად.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ პროგრამაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ იგეგმებოდა მინიმუმ სამი სტუდენტის მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილებას მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა - თამარ ბრეგვაძემ.

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და ოპერაციათა მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა რევაზ სოლომონიამ.

6.16

15. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: მათემატიკა
განათლების საფეხური: დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: მათემატიკის დოქტორი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტაების რაოდენობა: 180

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა რომეო გალდავამ და ომარ ფურთუხიამ.

- სასურველი იყო სასწავლო კომპონენტების სილაბუსებში გათვალისწინებული ყოფილიყო სასწავლო კურსის სპეციფიკა შეფასების ფორმებისა და მეთოდების კუთხით, ვინაიდან ყველა სასწავლო კურსი ფასდებოდა ერთი და იგივე ფორმითა და მეთოდებით, მათი შეფასების კრიტერიუმებიც იყო იდენტური;
- სასურველი იყო სადოქტორო პროგრამას დამატებოდა ისეთი სახის აქტივობა, როგორიც იყო პროფესორის ასისტენტობა.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უმაღლესი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად გათვალისწინებული იყო დოქტორანტისათვის ასისტენტის თანამდებობის შემოღება, ხოლო აღნიშნულ ეტაპზე დოქტორანტები მუშაობდნენ მათთან საათობრივი ანაზღაურების წესით და ატარებდნენ პრაქტიკულ მეცადინეობებს. რამოდენიმე დოქტორანტი მუშაობდა შტატში უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ დოქტორანტის აღნიშნულ საქმიანობას არ ჰქონდა შეფასება, იგი უბრალოდ მუშაობდა და იღებდა ანაზღაურებას. წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ანაზღაურებასთან ერთად ისინი ირებდნენ საკმაოდ კარგ პრაქტიკას.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ მისთვის გასაგები იყო რომ პროგრამა გახლდათ ძველი ტრადიციების მატარებელი და როგორც მისთვის გახლდათ ცნობილი საკმაოდ კვალიფიციური პროფესურა ემსახურებოდა პროგრამას, საინტერესო იყო რატომ არ იყვნენ ისინი გათვალისიწინებული ხელმძღვანელებად და რატომ არ ჰქონდათ წამყვანი პოზიცია. ასევე მისთვის გაუგებარი იყო მათემატიკის სადოქტორ პროგრამაზე დაშვების წინაპირობად როგორ შეიძლებოდა მიეღოთ ნებისმიერი მაგისტრი ვინაიდან მათემატიკის სადოქტორო პროგრამა შეიძლება ვერ დაეძლია თვით თეორეტიკოს ფიზიკოსაც კი. დარგობრივ საგნებს ჰქონდათ 10-10 კრედიტი ხოლო პირველ და მეორე სემინარს 15 კრედიტი. მისი აზრით, არასწორად იყო

5.10

დაბალანსებული კრედიტები. კვლევით კომპონენტში წარმოუდგენლად იყო განაწილება კრედიტების და საბოლოოდ გროვდებოდა 90 კრედიტი და შემდგომ დისერტაცია მოიცავდა 30 კრედიტს. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო ზემოაღნიშნული საკითხები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაშვების წინაპირობა ითვალისწინებდა გასაუბრებას. გასაუბრების ჩატარების მიზნით იქმნებოდა კომისია, ამიტომ ის მომენტი რომ მოვიდოდა არამათემატიკოს ნაკლებად დამაჯერებელი იყო. მითითებული იყო ფიზიკის და მათემატიკის მაგისტრი. ასევე შესაძლებელი იყო ბიოლოგიის მაგისტრის მიღება თუკი ექნებოდა მათემატიკის საკმარისი საფუძველი.

საბჭოს წევრმა ნანა შათაშვილმა განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა მოეთხოვათ ბაკალავრიატის შესაბამისი ცოდნა მათემატიკაში.

წარმომადგენელმა განაცხადა, თემატური სემინარი არ გახლდათ დისერტაციის ნაწილი, დოქტორანტი ხელმძღვანელთან შეთანხმებით ირჩევდა თემატიკას და შემდგომ იწყებდა მუშაობას. 100 ქულიდან 60 ფასდებოდა ხელმძღვანელის მიერ, ხოლო დანარჩენი კომისიის პრეროგატივა იყო. კვლევით კომპონენტში სრულდებოდა ნაშრომი, რომელიც წარმოდგენილი იქნებოდა კოლოქვიუმის სახით და გაეკეთებინა პრეზენტაცია.

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ უმჯობესი იქნებოდა კვლევა 1 და კვლევა 2 გაერთიანებულიყო დისერტაციაში და კრედიტებიც შესულიყო სადისერტაციო ნაშრომში, ვინაიდან ცალ-ცალკე შეფასება ცოტა რთული იქნებოდა. აშკარა იყო, რომ უნივერსიტეტში არსებობდა სისტემური პრობლემა, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორებულიყო და სასურველი იქნებოდა თუ ხელმძღვანელობა დააკვირდებოდა და გამოასწორებდა აღნიშნულ ხარვეზებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მათემატიკის სადოქტორო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5.106

16. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: ბიზნესის ადმინისტრირება (ინგლისურენოვანი)
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა: ინგლისური
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წარუდგინეს ექსპერტებმა მაია გონაშვილმა და კონსტანტინე თოფურიამ.

- მიზანშეწონილი იყო კომპონენტში ,,მენეჯმენტის პრინციპები" კურსის შინაარსში კონფლიქტებთან ერთად დამატებოდა სტრესების მართვა. ასევე მე-14 სემესტრში განხილული თემა ლიდერობა და მოტივაცია დაშლილიყო და განხილული ყოფილიყო ლიდერობა და გუნდის მართვა ცალკე, ხოლო მოტივაციის თეორიები ცალკე;
- გამიჯნულიყო სასწავლო თემატიკის კომპონენტები: ,,ბიზნესის საფუძვლები", ,,მენეჯმენტი", ,,ადამიანური რესურსები" და ,,მარკეტინგი"; ,,ფინანსების საფუძვლები" და ,,საბანკო მარკეტინგი", რათა არ ჰქონოდა ადგილი თემატიკის გარკვეულ გადაფარვას მოცემულ კომპონენტებს შორის;
- მიზანშეწონილი იყო სავალდებულო და არჩევით მოდულებში დამატებოდა მენეჯერული აღრიცხვის, ორგანიზაციული ქცევის, მეწარმეობის შემსწავლელი კურსები;
- კომპონენტებიდან ,,კორპორაციული სამართალი" და ,,ბიზნესის სამართლებრივი საფუძვლები" რომელთა სწავლება განსაზღვრული იყო სავალდებულო მოდულით ერთ-ერთი გადასულიყო არჩევით მოდულში;
- კომპონენტის ,,რისკები და დაზღვევა" დასახელება, კურსის შინაარსიდან და ლიეტერატურიდან გამომდინარე შეცვლილიყო დასახელებით ,,რისკის მენეჯმენტი და დაზღვევა";
- სასურველი იყო პროგრამას შეეთავაზებინა არჩევით მეორე უცხო ენა (მათ შორის ქართული არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის);
- კომპონენტში ადამიანური რესურსების მენეჯმენტი ძირითადად ლიტერატურაში მითითებული მ. არმსტრონგი ჩანაცვლებული ყოფილიყო საბაკალავრო დონის შესაბამისი სტუდენტისათვის უფრო მარტივი ლიტერატურით.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამა ორიენტირებული იყო თუ არა უცხოელ სტუდენტებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სამიზნე აუდიტორიას

ნ.ნ

წარმოადგენდა ქართველი სტუდენტები, რომლებიც სწავლობდნენ ინგლისურენოვან პროგრამებზე სკოლებში და საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც სწავლობდნენ უცხოეთში და დაბრუნდნენ საქართველოში და ასევე უცხოელები, რომლებსაც ექნებათ სურვილი ისწავლონ საქართველოში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციებს გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია მენეჯმენტის პრინციპების დისციპლინასთან დაკავშირებით და მოხდა თემატიკის ჩაშლა, ასევე მეორე რეკომენდაცია რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში საკითხების გამიჯვნას კიდევ ერთხელ გადაიხედა და აისახა ცვლილებები სილაბუსებში, არჩევითი მოდულის დახვეწა და სილაბუსების გაუმჯობესება უკვე დაწყებული იყო და მას ექნებოდა სისტემური ხასიათი, არჩევით მოდულში გადატანილ იქნა კორპორაციული სამართალი და იგი ჩანაცვლდა მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსით. შეიცვალა რისკების მენეჯმენტის და დაზღვევის კურსის დასახელება და ასახული იქნა სილაბუსებში. რაც შეეხებოდა არჩევით მეორე ენას, მათ უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა უცხო ენების სასერტიფიკატო ცენტრი, რაც საშუალებას აძლევდა მათ სტუდენტებს სრულიად უფასოდ შეესწავლათ რამოდენიმე უცხო ენა. კომპონენტში ადამიანური რესურსების მენეჯმენტის ძირითად ლიტერატურაში მითითებულ არმსტრონგის სახელმძღვანელოს, ვინაიდან მოცემულ ეტაპზე არ ხდებოდა პროგრამის რეალიზება მისი განხორციელების შემდგომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ჩატარდებოდა კვლევა და შედეგებიდან გამომდინარე, საჭიროების მიხედვით მოხდებოდა აღნიშნული ლიტერატურის ჩანაცვლება.

საბჭოს წევრი ნანა შათაშვილი დაინტერესდა იყო თუ არა პროგრამა მდგრადი აკადემიური პერსონალის თვალსაზრისით. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 19 პერსონალი მოემსახურებოდა პროგრმას და მხოლოდ 5 იქნებოდა მოწვეულის სტატუსით. ასევე ხდებოდა პერსონალის გადამზადება ალკალას უნივერსიტეტთან არსებული მემორანდუმის საფუძველზე. დაწესებულება ატარებდა კოლეჯის სტატუსს ხოლო რაც შეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამას მათ ჰქონდათ ხუთი პროგრამა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის ბიზნესის ადმინისტრირების (ინგლისურენოვანი) საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

5.lof

17. შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა
პროგრამის დასახელება: საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია: საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
სწავლების ენა: ქართული
კრედიტების რაოდენობა: 240

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თვითშეფასების ანგარიშსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თითშეფასების ანგარიში და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა გიორგი გვალიამ.

- მიზანშეწონილი იყო გადახედილიყო კომპონენტებს შორის (განსაკუთრებით სპეციალობის სავალდებულო კურსების ბლოკში) ურთიერთდამოკიდებულება, კავშირი და თანმიმდევრობა;
- ,,შესავალი საერთაშორისო სამართალში" სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყო ლევან ალექსიძის 2010 წლის გამოცემის სახელმძღვანელო. ავტორის მიერ უკვე გამოცემული იყო აღნიშნული სახელმძღვანელოს ორი განახლებული რედაქცია. გარდა ამისა, ქართულ ენაზე გამოცემული იყო საერთაშორისო სამართლის საყურადღებო სახელმძღვანელოები, რომელთა გამოყენება მიზანშეწონილი იყო მომხდარიყო აღნიშნულ პროგრამაში და რამდენიმე მათგანი დაწესებულების ბიბლიოთეკაში ინახებოდა მაგ. 1. იან ბროუნლი. საერთაშორისო საჯარო სამართლის პროინციპები. თბილისის 2010; 2. პიტერ მალანჩუკი. აკეჰარსტის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, თბილისი 2005.
- პროგრამის განხორციელებაში ჩართული რამდენიმე პერსონალის კომპეტენციები პირდაპი არ დასტურდებოდა შესაბამისი დარგის შრომითი გამოცდილებით თუ პუბლიკაციებით და შემოისაზღვრებოდა მომიჯნავე სფეროში პრაქტიკული საქმიანობით, რაც შესაძლოა არ ყოფილიყო საკმარისი პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების განსახორციელებლად. მაგ. ქეთევან გიგილაშვილი - დიპლომატიური და საკონსულო სამართალი - აღნიშნულ პირს არ ჰქონდა არც შრომითი გამოცდილება და არც პუბლიკაციები ზემოაღნიშნულ სფეროში; გიორგი ქავთარაძე - მას აკადემიური ხარისხი ჰქონდა ისტორიაში და ამავე დროს, არ ჰქონდა საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით არც პუბლიკაციები და არც შემოთავაზებული კურსების წაკითხვის გამოცდილება; ნინო ბეგლარიშვილი - მას ჰქონდა მაგისტრის ხარისხი ისტორიაში აღმოსავლეთმცოდნეობის მიმართულებით, თუმცა მას არ ჰქონდა ამ მიმართულებით არც პუბლიკაციები და არც ლექცია/სემინარების წაკითხვის გამოცდილება;

6.16

- სასურველი იყო პროგრამაში მინიმუმ არჩევითი კურსების სტატუსით გათვალისწინებული ყოფილიყო შემდეგი კურსების სწავლება: საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართალი; ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე საერთაშორისო მექანიზმები;
- დიპლომატიური პროტოკოლი; საგარეო პოლიტიკის ანალიზი; საჯარო პოლიტიკის ანალიზი (შესავალი კურსი);
- მნიშვნელოვანი იყო, რომ ცალკეულ კურსებში არსებული თემატური დუბლირებები გასწორებულიყო და არ მომხდარიყო საგნობრივი გადაფარვა;
- სასურველი იყო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის სავალდებულო კომპონენტის განხორციელება უფრო მეტად ყოფილიყო ორიენტირებული დარგისათვის პროფილურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობაზე.

ექსპერტის განცხადებით პროგრამას ჰქონდა პოტენციალი, პროგრამის თანახელმძღვანელი ბიძინა ლებანიძე გახლდათ საკმაოდ კომპეტენტური. დასკვნა საბოლოო ჯამში გადიოდა შედეგზე და საბოლოო დასკვნა გახლდათ დადებითი.

სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიიღეს თუ არა დასკვნა ცენტრში გამოგზავნილი იქნა პასუხი რეკომენდაციებზე საბჭოსათვის გაცნობის მიზნითაც. კონკურსის წესით იქნა არჩეული აკადემიური პერსონალი, თუმცა ჰყავდათ მოწვეული პერსონალიც. ქეთევან გიგილაშვილს ჰქონდა სამართლის მაგისტრის ხარისხი საჯარო სამართალში, მუშაობდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში, გახლდათ სახელმწიფო აუდიტის მთავარი სპეციალისტი და წლების მანძილზე იყო ცენტრალური საარჩევნო კომისიის ცესკოლს ტრენერი, რაც გულისხმობდა სწავლა-წავლების პროცესს და ჰქონდა ცოდნის გადაცემის გამოცდილება. ნინო ბეგლარიშვილსაც მინიჭებული ჰქონდა მაგისტრის ხარისხის და წლების მანძილზე მუშაობდა მერიაში საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტმანეტში, რომლის ფუნქციებში შედიოდა არაბულ ქვეყნებთან კომუნკაცია. წლების მანძილზე კურირებდა სტუდენტებისათვის პრაქტიკის რეალიზაციის პორცესს, რაც ასევე გულისხმობდა სწავლა-სწავლებას.

ექსპერტმა განაცხადა, რომ ტრენერის გამოცდილება გასაგები იყო, მაგრამ აკადემიური საქმიანობა მაინც განსხვავებულ უნარ-ჩვევებს ემყარებოდა. არ არსებობდა პუბლიკაციები, ლექციების წაკითხვის გამოცდილება. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს ექსპერტის მოსაზრება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მოხდა აღნიშნული პირების ჩანაცვლება და ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება გაზიარებული და შესრულებული იქნა.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავდა დაწესებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა რომ გეგმავდნენ 20 სტუდენტის მიღებას.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

5.66

გადაწყვეტილება:

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის № 65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ქართულ-ევროპული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ 21:22 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ნათელა სახოკია

მდივანი
თუთა ნარმანია